აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№32 (24.912) შაბათი, 2 - 4 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ ზოგან მოსალოდნელია წვიმა.

საარჩევნო ვნებათაღელვა და... დაკომპლექტების მოლოდინი – საკრებულოში

დღეს ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევენ მე-4 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. იგი მოიცავს გონიო-კვარიათის, აეროპორტის და აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილს, სულ 14 საარჩევნო უბანს. ბიულეტენზე ორი კანდიდატია მონიშნული - მათე ფუტკარაძე „ნაციონალური მოძრაობიდან“ და რამაზ ჯინჭარაძე - „ქართული ოცნებიდან“. ხელახალი არჩევნების ჩატარება საკრებულოს გონიო-კვარიათის მაჟორიტარი კანდიდატის ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალებამ განაპირობა. იგი არჩევიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. „ნაციონალური მოძრაობა“ ამაში ბრალს მმართველ გუნდს სდებს და მას ზეწოლაში ადანაშაულებს. პარტიამ მაჟორიტარობის კანდიდატად ნუგზარ ფუტკარაძის შვილი მათე ფუტკარაძე დააყენა, „ქართულმა ოცნებამ“ - აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე. ამ არჩევნებით გადაწყდება, რომელ პარტიას ექნება გადამწყვეტი ხმა ბათუმის წარმომადგენლობით ორგანოში. ამ დრომდე საკრებულოს არ ჰყავს თავმჯდომარე, რადგან არცერთ პარტიას არ აქვს საჭირო უმრავლესობა საკრებულოს ხელმძღვანელის ასარჩევად.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში ჩართულ მხარეებს 2 აპრილის საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შესახებ ანგარიში წარუდგინა. ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა ისაუბრა არსებითად მნიშვნელოვან საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ტექნოლოგიურ სიახლეზე, რომელიც 2 აპრილის არჩევნებზე ბათუმის მე-4 მაჟორიტარულ ოლქში განხორციელდება. საუბარია ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებაზე. გიორგი კალანდარიშვილმა კომენტარი გააკეთა ოპოზიციის ბრალდებებზე, რომ ბათუმში წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა სიები გაიზარდა. კალანდარიშვილის თქმით, საუბარია კონკრეტულ საარჩევნო უბანზე 500-მდე ამომრჩევლის ცვლილებაზე. საარჩევნო ადმინისტრაციამ კანონთან შესაბამისობით იმოქმედა.

არჩევნების წინა დღეებში ბრალდებებმა ახალი სახე მიიღო. მმართველი და ოპოზიციური პარტიები ერთიმეორის მიყოლებით მართავდნენ ბრიფინგებს გაფრთხილებებითა თუ მოწოდებებით. მანამდე პასიურად მყოფმა ოპოზიციამ ამომრჩეველთა მოსყიდვის ბრალდებით, რამაზ ჯინჭარაძის ჩამოშორება მოითხოვა საარჩევნო კამპანიიდან. სასამართლომ უსაფუძვლობის გამო მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა. მათ მიერ „ღირსების არჩევნებად“ წოდებულ კენჭისყრამდე, ოპოზიციურმა ერთობამ მოქალაქეებს აქტიურობისა და მათე ფუტკარაძის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის წევრის გიორგი კირთაძის განცხადებით: „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში დაშინების, შანტაჟისა და მოსყიდვის პარალელურად, შემოგვთავაზა ადამიანების გადმოწერა ამ ოლქში. გადმოწერილ ადამიანებს სუს-ი უთვალთვალებს, აღმაშენებლის ქუჩაზე იმყოფებიან და ზეწოლას ახდენენ ამომრჩეველზე. ეს „ქართულ ოცნებას“ არ უშველის, ამის მიუხედავად ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღირსება გაიმარჯვებს. მოვუწოდებ მოქალაქეებს, მაღალი აქტივობა გამოიჩინონ და თამამად დაუჭირონ მხარი მათე ფუტკარაძეს, ფარულობა იქნება დაცული. ამ ქალაქში ბიუჯეტიდან ფულის მოპარვა და ერთპარტიულობა უნდა დასრულდეს“.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პროვოკაციების გამართვას გეგმავს, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა ვლადიმერ მგალობლიშვილმა განაცხადა და აღნიშნა, რომ: „ქართული ოცნება“ 20 პროცენტის უპირატესობით იგებს, საკრებულოს უმრავლესობის ფორმირებას მოახდენს და ყველა იმ გამოწვევას, რაც აქვს ბათუმს, გადაჭრის უმოკლეს ვადაში. მოვუწოდებთ ამომრჩევლებს, მაქსიმალურად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, ასევე, თავი აარიდონ პროვოკაციას“.

იხ. 33-7 33.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის 61-ე სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს ევროკავშირის წევრობის ოფიციალ-

ურ განაცხადთან დაკავშირებით არსებული ახალი რეალობები და პერსპექტივები. აღინიშნა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა და ქვეყანა წარმატებით განაგრძობს ასოცირების შეთანხმებით და დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელებას ევროკავშირთან როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური დაახლოების კუთხით. მიღებულია გადაწყვეტილება, ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ევროკავშირისგან მიღებული კითხვარების აღსრულების მიმართულებით თემატურად იმუშავებენ.

* * *

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია უქმდება. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას. გარდა ამისა, კანონის პროექტით ახლებურად დარეგულირდება სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებასთან, ავტორიზაციის სამართლებრივ შედეგებთან და ავტორიზაციაზე უარის თქმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საკითხები. პარლამენტმა ცვლილებები 74 ხმით მიიღო.

* * *

ხელისუფლების პოზიციაა, არაფერი გააპროტესტონ, რაც რუსეთიდან მომდინარეობს, - ამის შესახებ „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის განცხადებას, რომ სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკა ისტორიული სამშობლოს, რუსეთის შემადგენლობაში იქნება. აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმი 10 აპრილის „საპრეზიდენტო არჩევნების“ შემდეგ გაიმართება. ხვიჩიას თქმით, რეფერენდუმის ჩატარება მაინც შეთანხმებულია რუსეთთან. „უმჯობესია, ახლა ქვეყანამ საერთაშორისო რეპუტაციაზე იფიქროს და მხარდაჭერის მოპოვებაზე იმუშაოს“, - დასძინა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის დელეგაცია იმყოფება

2

«ვერავინ მოუნოდებს საქართველოს, საკუთარ ტერიტორიაზე გაუხსნას რუსეთს მეორე ფრონტი»

4

იტესტება თუ არა უკრაინაში მსოფლიოს არქიტექტურის ნიშნები?

3

რა მიმართულებით აპირებს საკრებულოს ახლად არჩეული თავმჯდომარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის განვითარებას?

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

თორნიკე რიჟვაძე: არ აშენდება, გადაწყვეტილია

ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ყველა უბანში ეწყობა ახალი სკვერები, პარკები, სარეკრეაციო სივრცეები. წელს ბათუმში 10 სკვერი გაკეთდება, მათ შორის, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩაზე, „მაკდონალდსის“ მიმდებარედ და გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე, სადაც სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ჯაბა ფუტკარაძესთან და ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან ერთად, სკვერების მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს გაეცნო.

შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა „მაკდონალდსის“ მიმდებარედ დაგეგმილი სამშენებლო პროექტის შეჩერება სთხოვეს მთავრობის თავმჯდომარეს. აქ მიწის ნაკვეთი 2015 წელს მშენებლობის პირობით იყიდა კომპანია „იალჩინმა“ (სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“), ტერიტორიაც შემოღობა, მშენებლობის დაწყებაც სცადა, მაგრამ ამის უფლება მომიჯნავე კორპუსების მცხოვრებლებმა არ მისცეს. მათი თქმით, არც ზღვის ხედი ექნებოდათ და არც მანქანის შესასვლელი საკუთარი კორპუსის ეზოში.

პროექტის გაცნობის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ უკმაყოფილება ვერ დამალა: „ეს უნდათ აქ? ამდენ ხალხს უნდა მიუშენონ წინ? არ გვაინტერესებს, ვინ არის, დავასრულებთ ამათზე წარმოებას და არ აშენდება... გადაწყვეტილია. სამინისტრომ და მერიამაც უზრუნველყავით, თუ რამე ნებართვებია გაცემული, გაუქმდეს. თავის დროზეც არასწორადაა გაცემული“...

თორნიკე რიჟვაძემ შესაბამის უწყებებს დაავალა, „იალჩინის“ მრავალსართულიანი კომპლექსის მშენებლობაზე გადაწყვეტილება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მიიღონ. აღსანიშნავია, რომ კომპანია „იალჩინს“ ბათუმის მერიის მიერ უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვაზე, ასევე, კომპანიას დარღვეული აქვს აჭარის მთავრობასთან გაფორმებული სახელშეკრულებო ვალდებულებები.

„მისასალმებელია, რომ ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაო. პრაქტიკულად ყველა უბანში, მერია აკეთებს ახალ სკვერებს, პარკებს, სარეკრეაციო სივრცეებს. „მაკდონალდსის“ გვერდით ძალიან ბევრი ახალი მშენებლობაა და ამ მშენებლობებს სჭირდება დამხმარე ინფრასტრუქტურა, ახალი სკვერები, ახალი საპარკინგე სივრცეები. ასევე, მოსახლეობის თხოვნა იყო, გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელიც სამწუხაროდ გაიყიდა წინა წლებში, არ აშენებულიყო კორპუსი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ იქაც მოიშლება შესაბამისი ხელშეკრულება და გაუქმდება ყველა ის სანებართვო პირობა, რაც არის დადგენილი. არ აშენდება, რადგან არ შეიძლება ამდენ ადამიანს დისკომფორტი შევუქმნათ,“ - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ელენე საყვარელიძე

ბათუმში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის დელეგაცია იმყოფება

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) დელეგაცია იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან. დელეგაციის წევრებმა, კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, განხორციელებული სამუშაოები შეაფასეს, ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობა და მახინჯაურის წყლის რეზერვუარები დაათვალიერეს.

ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობა 2018 წელს აშენდა, რომელიც ჩამდინარე წყლების შეგროვებასა და ბიოლოგიურ გაწმენდას უზრუნველყოფს. ზედაპირულ წყალში ჩაშვებამდე მოწმდება წმენდის ხარისხი. გამწმენდი ნაგებობა 1200 ოჯახს ემსახურება.

მახინჯაურის 1800 კუბური მეტრი მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარი ექსპლუატაციაში 2018 წელს შევიდა. რეზერვუარი წყლით უწყვეტად ამარაგებს მწვანე კონცხის, მახინჯაურის, განთიადისა და თამარის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას.

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ოთხი ფაზის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოებისთვის 195 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯა.

რა წილი აქვს ქართულ ბაზარზე რუსულ პროდუქტს?

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

პირველი აპრილიდან რუსეთი მზესუმზირისა და რაფსის ექსპორტს დროებით აჩერებს. აკრძალვა ძალაში 31 აგვისტოს ჩათვლით იმოქმედებს. როგორც რუსული მედია წერს, მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნის გამო საკუთარი ბაზრის დაცვის მიზნით მიიღო.

რა წილი აქვს რუსულ მზესუმზირას ქართულ ბაზარზე? როგორც 2021 წლის მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში მზესუმზირის მთავარი იმპორტიორი უკრაინა იყო - 84,2%, რუსული პროდუქტის წილი კი დაახლოებით 11%-ს შეადგენდა. უფრო კონკრეტულად, 2021 წელს საქართველოში სულ განხორციელდა 4 668 ტონა - 4,180 მლნ დოლარის ღირებულების მზესუმზირის იმპორტი, აქედან უკრაინიდან შემოვიდა 3 932 ტონა - 3,424 მლნ დოლარის ღირებულების, რუსეთიდან კი 529,9 ტონა - 327,3 ათასი დოლარის ღირებულების.

რუსეთმა საზღვარგარეთ გადასარიცხი თანხის მოცულობაზე ახალი ლიმიტი დააწესა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

რუსეთის ბანკმა ფიზიკური პირების საზღვარგარეთ გადარიცხვების ოდენობაზე ახალი ზღვარი დააწესა, რაც 6 თვის განმავლობაში იმოქმედებს. ამის შესახებ ინფორმაციას ცენტრალური ბანკი - თავის ვებგვერდზე ავრცელებს

რუსეთის ბანკში არსებული ანგარიშიდან მომხმარებელი ერთი თვის განმავლობაში საზღვარგარეთ თავის ან სხვა პირის ანგარიშზე 10 000 დოლარზე მეტ თანხას ვერ გადარიცხავს, ხოლო კომპანიების მეშვეობით, რომლებიც ფულადი გზავნილების სერვისს ანგარიშის გახსნის გარეშე უზრუნველყოფენ, თვეში არა უმეტეს 5 000 დოლარის გადარიცხვა არის შესაძლებელი.

ეს წესები ვრცელდება რეზიდენტებზე და არარეზიდენტებზე იმ ქვეყნებიდან, რომლებიც სანქციებს მხარს არ უჭერენ, ასევე, ყველა სხვა სახელმწიფოს არარეზიდენტებზე, რომლებიც რუსეთში შრომითი ან სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებებით საქმიანობენ.

6 მარტს ცენტრალურმა ბანკმა რეზიდენტი ფიზიკური პირების საზღვარგარეთ გადარიცხვები თვეში 5 000 დოლარამდე არარეზიდენტი ფიზიკური პირების, მათ შორის, ნათესავების სასარგებლოდ შეზღუდა.

მანამდე, რუსეთის ბანკმა, საზღვარგარეთ ფულის გადარიცხვები იმ ქვეყნების არარეზიდენტ მოქალაქეებზე აკრძალა, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებულ სანქციებს უერთდებიან. აკრძალვა მიმდინარე წლის პირველი მარტიდან 31 მარტამდე მოქმედებდა და როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შეეხებოდა. სიაში 43 ქვეყანაა, მათ შორის, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და აშშ მოხვდა.

სკოლაში შესვლის ასაკი იცვლება?

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

პირველკლასელთა სკოლაში შესვლის ასაკი შესაძლოა, შეიცვალოს. პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი ფსიქოლოგებთან, აღმზრდელებსა და მეთოდისტებთან ერთად მუშაობს იმის დასადგენად, რა ასაკშია ბავშვის სკოლაში გაშვება მართებული.

როგორც განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვარმა განაცხადა, სამუშაო ჯგუფის მთავარი მიზანია, დადგინდეს არგუმენტი, თუ რას ეფუძნება კანონში ჩანაწერი, რომ ბავშვი პირველ კლასში მისვლისას, სწავლის დაწყების მომენტისთვის (15 სექტემბერი) 6 წლის უნდა იყოს.

რაც შეეხება სწავლის დაწყების თარიღის ჩანაწერის შეცვლასა და ამ ცვლილების ვადებს, ამილახვარის განცხადებით, გადაწყვეტილება რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

მისივე ინფორმაციით, ცოტა ხანში გაირკვევა, რამდენად მზადაა სამინისტრო, ცვლილების შემთხვევაში, პირველკლასელების გაზრდილი ნაკადის მისაღებად.

„ეს საკითხი შესწავლის პროცესშია, რადგან მშობლების, ჩვენი დეპუტატებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. ზოგს ასე უნდა, ზოგს უნდა, რომ დავწიოთ ასაკი. ვმუშაობთ ძალიან აქტიურ რეჟიმში. გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა და ახლო მომავალში, 2-3 კვირაში, რაღაც პოზიციაზე გავალთ, რა შეგვიძლია ან არ შეგვიძლია ამ საკითხის ირგვლივ. ჩვენ, კონსულტაციების ფარგლებში, ვმუშაობთ და ვუსმენთ ფსიქოლოგებს, აღმზრდელებს, მეთოდისტებს, თუ რას ეფუძნება კანონში ჩანაწერი, რომ ბავშვი პირველ კლასში მისვლისას, სწავლის დაწყების მომენტისთვის (15 სექტემბერი) უნდა იყოს 6 წლის. რამდენად შეიძლება, ბიოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე, ეს ასაკი ან გადავწიოთ ან გადმოვწიოთ. ამასთან, ვმუშაობთ სამინისტროსთან სკოლებში ადგილების რაოდენობაზეც. ჩვენთვის ახლა მთავარია, რომ სწორი ასაკი დადგინდეს. ეს თუ შეიცვლება, არ იყოს სამინისტროს ადმინისტრირების კუთხით პრობლემა, ის მზად იყოს ამ პროცესისთვის. ფსიქოლოგები და ეს ჯგუფი თუ გვეტყვის, რომ ამ ასაკის გადაწევა შეიძლება, მერე უკვე იქნება მსჯელობა ასაკზე. 15 სექტემბრის ნაცვლად, ვთქვათ, რამდენი ხნით შეიძლება ამის გადაწევა. ჯერჯერობით, თარიღამდე არ მივსულვართ. განათლების კომიტეტი ამ საკითხს სწავლობს და მუშაობს“, - განაცხადა ამილახვარმა.

იტესტება თუ არა უკრაინაში მსოფლიოს ახალი არქიტექტურის ნიშნები?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური მახასიათებელი მმართველობის ორი, ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული სისტემის დაპირისპირებაა: დემოკრატიული მმართველობა ან ტოტალიტარული სისტემა. ამ ორ სისტემას წარმოადგენენ ერთი მხრივ - აშშ, ევროპა და მეორე მხრივ - რუსეთი და ჩინეთი, ამას აცხადებენ დასავლელი ექსპერტები და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას წორედ ამ ორი



ზემოაღნიშნული მმართველობის დაპირისპირების რეზულტატად თვლიან.

უდავოა, რომ რუსეთი ტოტალიტარული მმართველობის სისტემის დედაბოძია, უკრაინა კი დემოკრატიული მმართველობის მიმდევარი და ცდილობს ევროპული ყაიდის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.

მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის მოვლენებით დაიწყო რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეცვლის საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას. დღეს უკრაინაში გაჩაღებული ომი გლობალურ მოვლენად იქცა, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მოწესრიგებულ საერთაშორისო ურთიერთობას. შეიძლება ითქვას, რომ მესამე მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს, დიახ, რუსეთ-უკრაინის ომი მესამე მსოფლიო ომის ნიშნებს შეიცავს. ვლადიმერ პუტინმა რუსეთი და დასავლეთი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა ერთმანეთთან, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელებმა მთელი მსოფლიო გააკვირვეს თავისი ბრძოლისუნარიანობით. დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა რომ არა, ამ ქვეყანას გაუძნელდებოდა რუსული აგრესიის მოგერიება, ამას თითქმის ყველა ობიექტური ანალიტიკოსი აღიარებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის მნიშვნელობით რუსეთი თავს იმკვიდრებს მსოფლიო არენაზე. ის ითხოვს მსოფლიოსგან, რომ ანგარიში გაუწიონ, თორემ რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს და არ აინტერესებს, ამას რა მსხვერპლი მოჰყვება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას ასეთი ფართომასშტაბიანი ომი არ ახსოვს. მთელი მსოფლიო გმობს მოსკოვის აგრესიას უკრაინაში. ომის ხუთი კვირის შედეგებით კრემლმა თავის საწადელს ვერ მიაღწია. ვერც მთელი უკრაინა დაიპყრო და ვერც ხელისუფლება შეცვალა. მხოლოდ დონეცკის რეგიონში აქვს გარკვეული წარმატებები, ალბათ ამიტომ კრემლმა სიტყვიერი შეთანხმება დადო უკრაინასთან საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა საბოლოოდ შეთანხმებას, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში პრეზიდენტები მოაწერენ ხელს. ეს შეთანხმება ვისთვის იქნება ხელსაყრელი, დრო დაგვანახებს. სხვათა შორის, უკრაინელებს ისე მოხერხებულად აქვთ წამოყენებული თავიანთი პირობები, ე. წ. ნეიტრალიტეტის ჩათვლით, რომ მათზე დათანხმება პუტინისთვის ომის დე-ფაქტო წაგებას ნიშნავს... მძლავრი გარანტორების მიერ უკრაინის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა ფაქტობრივად ნიშნავს ნატოზე უფრო მძლავრი სამხედრო ბლოკ-ით ქვეყნის საზღვრების და მთლიანობის დაცვას, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ უკრაინელი ჩინოვნიკები. ისინი რუსეთის ხელისუფლების ფარისევლობაზეც ამახვილებენ ყურადღებას. ისტორიიდან ცნობილია, რომ რუსეთი დადებულ ხელშეკრულებებს არ ასრულებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამ გაავრცელეს მოწოდება, შეინარჩუნონ სიფხიზლე რუსეთის ფედერაციის განცხადებებთან დაკავშირებით საომარი აქტივობის შემცირების შესახებ კიევისა და ჩერნიგოვის ოლქებში. „დასავლეთის ძალისხმევა არ უნდა შესუსტდეს მანამ, სანამ არ დასრულდება საშინელება, რომელიც თავს დაატყდა უკრაინას“ - ხაზი გაუსვეს ამ ქვეყნების ლიდერებმა. სახელმწიფო მეთაურებმა მოილაპარაკეს, გააგრძელონ უკრაინისთვის აქტიური დახმარება რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ისევ მოუწოდებენ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები, გაიყვანოს ჯარები უკრაინიდან და გადაწყვიტოს კრიზისი დიპლომატიური გზით. ხოლო გერმანიის კანცლერმა შოლცმა რუსეთი დაადანაშაულა იმპერიალიზმში: „რუსეთი თავს დაესხა უკრაინას, რა დროსაც ხელმძღვანელობდა იმპერიალისტური ხედვით“.

დიახ, მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორიც ამ ომამდე იყო. თუ უკრაინა გადარჩა, ანუ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, ეს დასავლეთის გამარჯვება და რუსეთის დამარცხება იქნება, ხოლო თუ პუტინი მიზანს მიაღწევს უკრაინის სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე, ეს აშშ-ის ავტორიტეტს მნიშვნელოვანად შეარყევს

რა თქმა უნდა, გერმანიის ასეთი პრინციპული პოზიცია მისასალმებელია. ეს ქვეყანა ამ დრომდე რუსეთის ინტერესების ლობისტი იყო ევროპაში. აღსანიშნავია აშშ-ის პრეზიდენტის ბოლოდროინდელი გზავნილები რუსეთის მიმართ. აშშ-ის პრეზიდენტები სიტყვებს ჰაერზე არ ისვრიან! ისინი რასაც ამბობენ, იმას აკეთებენ. ბაიდენმა თქვა, რომ პუტინი უნდა წავიდეს. ფაქტობრივად, იგივე თქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა. მსოფლიომ გაიღვიძა და ასეთი გამოღვიძება დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებებით და ახალი მსოფლიო წესრიგით მთავრდება ხოლმე. ყველა აღიარებს, რომ მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორიც რუსეთ-უკრაინის ომამდე იყო. ყველაფერი, რაც მოხდება უკრაინაში, უშუალო გავლენას მოახდენს დანარჩენ მსოფლიოზე.

რუსეთის რეალურ მიზნებთან დაკავშირებით დასავლელი ექსპერტები ხაზგასმით აცხადებენ, რომ კრემლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია უკრაინაზე კონტროლის შენარჩუნება. ამას განაპირობებს ამ ქვეყნის გეოგრაფიული განლაგების, ზომის, ეკონომიკური და დემოგრაფიული წონის კომბინაცია, რაც უკრაინის ზესტრატეგიულობას მკაფიოდ ადასტურებს. რუსეთის მთავარი მიზანია კონტროლის დამყარება პოსტსაბჭოთა ქვეყნების რესურსებზე, რადგან მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შიდა რესურსი აშკარად არასაკმარისია მოსკოვისთვის. მეტიც, რუსეთი იმყოფება ღრმა სისტემურ კრიზისში. ამ თვალსაზრისით, მისთვის უკრაინის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ კურსს ზესტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, რუსეთისთვის უკრაინის მნიშვნელობის უმთავრესი ასპექტი გეოგრაფიულია, კერძოდ, გასასვლელი შავ ზღვაზე. რუსეთმა ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრა, მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და ცდილობს მარიოპოლის დაკავებით აზოვის ზღვის სრულ კონტროლს. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო უკრაინის გარეშე ევრაზიული კავშირის პროექტი რუსეთისთვის მიუღებელია. სწორედ ამითაა გამოწვეული მისი ამჟამინდელი მცდელობა, არ დაუშვას უკრაინის განვითარება და დაახლოება დასავლეთთან.

რაც შეეხება დასავლეთს, როგორც აღვნიშნეთ, დღესდღეობით დასავლეთის ყურადღების ეპიცენტრში კვლავ უკრაინა რჩება, მიზეზი მისი ზესტრატეგიული მდებარეობა და ამავე დროს უხვი რესურსია, რამაც საბოლოო ჯამში დასავლეთი და რუსეთი ერთმანეთს დააპირისპირა. ექსპერტები კითხულობენ - არის თუ არა დასავლეთის ნაბიჯები ადეკვატური რუსეთთან მიმართებაში? ცივილიზებული მსოფლიო ნელნელა, მაგრამ მეთოდურად იწყებს რეალობის გადაფასებას, დასავლური ცივილიზაცია მიჩვეულია, არ მიიღოს იმპულსური გადაწყვეტილებები, შესაბამისად, ნებისმიერ ნაბიჯს გადადგმამდე წონიან. დასავლეთი სერიოზულად განეწყო იმ ტრაგედიის მიმართ, რაც ხდება უკრაინაში. მსოფლიო თანამეგობრობა უკვე ატარებს ზომებს რუსეთთან მიმართებაში: დაუწესდა უპრეცედენტო სანქციები როგორც ეკონომიკური კუთხით, ისე პოლიტიკური და სპორტული თვალსაზრისითაც, გარდა ამისა, დასავლურმა ბანკებმა შეაჩერეს რუსული ბიზნესის დაკრედიტება, შეამცირეს რუსულ ნავთობზე და გაზზე დამოკიდებულება. რაც მთავარია, უკრაინამ, პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ჰაეგის საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში გენოციდის ფაქტების თაობაზე... დეკლარირებული არ არის, მაგრამ მომდევნო ეტაპი ლოგიკურად უნდა გულისხმობდეს „რკინის ფარდის“ ჩამოფარებას, მიმოსვლისა და ვაჭრობის სრულ ორმხრივ შეზღუდვას და სანქციების გავრცელებას იმ ქვეყნებზე, რომლებიც რუსეთის მეხამრიდები იქნებიან. ამ მხრივ საყურადღებოა უკრაინის პრეზიდენტის პოზიცია: „მოვუწოდებ ნებისმიერ ქვეყანას, არცკი წამოჭრას საკითხი რუსეთისთვის სანქციების შემსუბუქებასა და მოხსნაზე“, ჩამოთვლილი ნაბიჯები მართლაც იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, ვინაიდან რუსეთი არაფერს აწარმოებს, მით უფრო არაფრის ექსპორტი არ ხდება, გარდა ნედლეულისა და წიაღისეულისა, აქედან 80 პროცენტი ნავთობი და გაზია. ასე რომ, თუ დასავლეთი ამ სანქციებს არ შეანელებს რამდენიმე თვე მაინც, მაშინ რუსეთი არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა თეთრი სახლის ბოლოდროინდელი განცხადება რუსეთთან მიმართებაში - პუტინი დაადანაშაულეს უკრაინელი ერის გენოციდში, რასაც ექსპერტები დასავლეთის პრინციპულობის დასაწყისად თვლიან. გარდა ამისა, უკრაინული არმია თანმიმდევრულად ანადგურებს საოკუპაციო ძალებს, რაც დასავლეთის სამხედრო ანალიტიკოსების დამსახურებაა.

სავარაუდოდ, დღეს უკრაინაში იტესტება მსოფლიოს ახალი არქიტექტურის ნიშნები, რასაც თითქმის ყველა აღიარებს. დიახ, მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორიც ამ ომამდე იყო. თუ უკრაინა გადარჩა, ანუ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, ეს დასავლეთის გამარჯვება და რუსეთის დამარცხება იქნება, ხოლო თუ პუტინი მიზანს მიაღწევს უკრაინის სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე, ეს აშშ-ის ავტორიტეტს მნიშვნელოვანად შეარყევს, იმედია, ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული უკრაინა გამოვა, რაც საქართველოსთვისაც ხელსაყრელია.

უცხოეთი

ევროკავშირი წუხს რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო, გაერთიანების მიერ დაწესებული სანქციების პასუხად, აუკრძალოს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლა ევროკავშირის ქვეყნების რიგ მოქალაქეებს, მათ შორის, ევროპარლამენტის ხელისუფლების და წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს, - ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელმა განაცხადა. მისი თქმით, ევროკავშირის სასანქციო ზომები, რუსულისგან განსხვავებით, ღიად არის გამოქვეყნებული, დაფუძნებულია გასაგებ კრიტერიუმებზე და ითვალისწინებს მათზე მსჯელობის ლეგალურ შესაძლებლობებს. რუსეთმა ევროკავშირისთვის საპასუხო სანქციების შემოღების თაობაზე 31 მარტს განაცხადა. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტეს, რომ ზომები ცალკეული პირებისთვის დაწესდა რუსოფობიური განწყობების გაღვივების, ასევე, რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვის გამო.

* * *

იაპონიამ სანქციები დაუწესა ოთხ რუსულ ორგანიზაციასა და სამ ფიზიკურ პირს ჩინეთის წინააღმდეგ შემოღებული სასანქციო რეჟიმის სავარაუდო დარღვევის გამო. შეზღუდვები ითვალისწინებს იაპონიის ბანკებში სანქცირებულ პირთა ანგარიშების გაყინვას. მანამდე ქვეყანამ რუსეთში ფუფუნების საგნების ექსპორტი აკრძალა, მათ შორის, პრემიუმკლასის ავტომობილების, ძვირფასი ქვებისა და საიუველირო ნაწარმის. გარდა ამისა, ტოკიოს მოსკოვის წინააღმდეგ შემოღებული აქვს სანქციების რამდენიმე სხვა პაკეტიც.

* * *

დიდი ბრიტანეთი შეშფოთებულია იმით, რომ აშშ, საფრანგეთი და გერმანია, შესაძლოა, უკრაინას რუსეთთან მშვიდობიანი მილაპარაკებების დროს მნიშვნელოვანი დათმობებისკენ უბიძგებენ. ამის შესახებ ადგილობრივი გამოცემა „თაიმსი“ წერს. ხელისუფლების მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, გამოცემა იუწყება, რომ მოკავშირეები ძალიან ჩქარობენ მშვიდობის მიღწევას და დასძენს, რომ შეთანხმება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა უკრაინა იქნება უძლიერეს პოზიციაში. სატელეფონო საუბრისას ბორის ჯონსონმა ვოლოდიმირ ზელენსკი გააფრთხილა, რომ ვლადიმერ პუტინი არის მატყუარა და თაღლითი, რომელიც მოლაპარაკებებს გამოიყენებს იმისათვის, რომ „გადაგღალოთ და დათმობებზე დაგიყოლიოთ“. უკრაინის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, გამოთქვა შეშფოთება, რომ მოსკოვმა შესაძლოა, მოლაპარაკებები თავისი ძალების გადაადგილებისა და გაძლიერებისთვის გამოიყენოს.

* * *

იტალია და ესპანეთი, რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად, გაზსადენს ააშენებენ. იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ განაცხადა, რომ თავის ესპანელ კოლეგასთან განიხილა აღნიშნული საკითხი, რუსულ გაზზე უარის თქმის გეგმის გათვალისწინებით. როგორც მან აღნიშნა, ევროკომისია გაზსადენის ესპანეთში მშენებლობის იდეის შესწავლას გეგმავს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, რუსულ გაზზე დამოკიდებულებას 30-40 პროცენტით შეამცირებენ

მოამზადა
ია შველიძემ

„ვერავინ მოუწოდებს საქართველოს, საკუთარ ტერიტორიაზე გაუხსნას რუსეთის მეორე ფრონტი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

უკრაინა-რუსეთის მოლაპარაკებებზე, მთავრობის მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებზე, ამნისტიასა და ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე საუბრობს ამ ინტერვიუში აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ***ტიტე აროშიძე***

- ბატონო ტიტე, თქვენი აზრით, თუ არსებობს შანსი, უკრაინა-რუსეთის მოლაპარაკებები დასრულდეს ისე, როგორც მთელ ცივილიზებულ სამყაროს მიაჩნია სამართლიანად?

- რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებისკენ ნაბიჯები გადადგმულია. როგორც იცით, კიდევ ერთი მოლაპარაკება შედგა, სადაც აშკარა გახდა, რომ მხარეები თანხმდებიან რიგ საკითხებზე. უკრაინაც მიდის კომპრომისზე, იმის მიუხედავად, რომ არაფერი დასათმობი არ აქვს, რადგან საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად იბრძვის. დარწმუნებული ვარ, ომი დასრულდება იმ შედეგით, როგორიც აწყობს სამყაროს. დროზე უნდა მოგვარდეს ყველა აუცილებელი საკითხი, რათა არ გაგრძელდეს სისხლისღვრა და მთელი ეს კონფრონტაცია არ იქცეს მსოფლიოს უდიდეს კრიზისად, რომლის გამოსწორება ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელი იქნება. მჯერა, გონიერება გაიმარჯვებს და მალე ვიხილავთ დამშვიდებულ უკრაინას და ევროპას ბირთვული ომის საფრთხის გარეშე.

- რამდენად მოსალოდნელია, უკრაინაში მარცხის შემდეგ, რუსეთის საქართველოში შემოსვლა?

- ჩვენ რუსეთისგან რამდენჯერმე ვიწვნიეთ მსგავსი შეიარაღებული კონფლიქტი. არანაკლებ დავზარალებულვართ. ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, დიდი მსხვერპლი გავიღეთ, დაგვეღუპა როგორც ჯარისკაცები, ისე მშვიდობიანი მოსახლეობა. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, არაფრის გარანტია არ გვაქვს, არ ვიცით, შემდგომში რას მოიმოქმედებს რუსეთი მილიტარისტული თვალსაზრისით. აქვე აღვნიშნავ, ჩვენი მიზანმიმართული პოლიტიკა იმედს გვაძლევს, რომ მშვიდობიანად ჩაივლის ყველაფერი. ცხადია, აუცილებელია, მოსალოდნელ შეიარაღებულ კონფლიქტებს თავი მაქსიმალურად ავარიდოთ. სამწუხაროდ, არ ვართ ის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია შეტევის მოგერიება და თავდაცვითი სისტემის რესურსების მობილიზება, როგორც ისრაელს. ამიტომ, საფრთხე არსებობს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, ქვეყანა რომ ომში არ აღმოჩნდეს ჩათრეული. ამისთვის ლავირებს დიპლომატების მეშვეობით, რათა არც უკრაინას დააკლოს სათანადო ყურადღება და არც საქართველო შეატოვოს განრისხებულ რუსეთს პირისპირ.

- ოპოზიცია პრორუსულობის ბრალდებას გიყენებთ...

- უკვე გასაგებია, ვინ და რატომ ამბობს ამას. უკრაინის მხარდაჭერა ჩვენთვის ცალსახად პრიორიტეტულია. ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით და ბოლომდე ასე იქნება. ამ მიმართულებით ვაქვეყნებთ რეზოლუციებს, ვაფიქსირებთ პოზიციას, ევროკავშირის მიერ მიღებულ ყველა დოკუმენტს ვეთანხმებით და ვიზიარებთ როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

- ჰუმანიტარული ტვირთის გარდა, რა დახმარებას სთავაზობს ხელისუფლება უკრაინას?

- დავიწყოთ თუნდაც ჰუმანიტარული ტვირთით, რომელიც საკმაოდ ხშირად, ლამის ერთმანეთის მიყოლებით იგზავნება. ვითვალისწინებთ ურთულეს, საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ხალხის გაჭირვებას, პირველად მოთხოვნილებებს და იმის მიხედვით ვაგზავნით ყველაფერს. გარდა ამისა, ვიღებთ

უკრაინელ ლტოლვილებს, უზრუნველვყოფთ დროებითი საცხოვრებელი ფართით, კვებით, პირველადი მოხმარების ნივთებით. ამაში ჩართულია ტურიზმის სექტორი და სხვა სათანადო ორგანოები. ეს მექანიზმები ამოქმედებულია და სახელმწიფო ზრუნავს უკრაინელებზე, რომლებიც გამოექცნენ ომს, ან აქ ჩარჩნენ ომის გამო.

- უკრაინელების გარდა, ბათუმსა და თბილისში რუსებიც მრავლად ჩამოვიდნენ და იცით, რა უკმაყოფილებაც მოჰყვა მათ აქ გამოჩენას...

- სტატისტიკაზე დაყრდნობით ყველა დავრწმუნდით, რომ ამჟამად ჩამოსული რუსი მოქალაქეების რაოდენობა შარშან და შარშანწინდელს არ აღემატება. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ საგანგაშო არაფერია. თანაც, საქართველოს ძალიან ბევრ მოქალაქეს აქვს ორმაგი მოქალაქეობა და ჩამოსულთა შორის, ქართველებიც არიან, რომლებმაც თავი აარიდეს ომში მყოფ ქვეყანას და სამშობლოში დაბრუნდნენ. ცხადია, ამ პროცესმა არ უნდა გამოიწვიოს პანიკა. თუ დაკვირდით, ასეცაა, არსად არცერთი ინციდენტი არ დაფიქსირებულა. თავიდან იყო რაღაც გამოსვლები, რასაც უკვე შევეჩვიეთ ჩვენც და მოსახლეობაც. ხალხი კარგად ხვდება, რა არის მისთვის საფრთხე და რა - არა. ეს რუსი მოქალაქეები თავად გამოექცნენ პუტინის რეჟიმს და არ ისახავენ მიზნად ჩვენი სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენებას. თუ მოსკოვს სურს საქართველოში შემოსვლა, ამისთვის არ საჭიროებს აგენტების გადმოგზავნას, რადგან აგერ დგას, მისი ჯარი, 40 კილომეტრში.

- ეს გასაგებია, მაგრამ რატომ აირჩიეს მაინცდამაინც საქართველო?

- რას ამბობთ, რუსები შედიან სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, პოლონეთში, თურქეთში. ამ ორმა ქვეყანამ ეს ფაქტი გააჟღერა, იგივე იქნება სხვაგანაც, უბრალოდ, არ აცხადებენ პროცესის მიმდინარეობას. რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობისთვის მიუღებელია ომიც და ის სანქციებიც, რაც დაუწესა რუსეთს კოლექტიურმა დასავლეთმა. აქედან გამომდინარე, რუსეთიდან გასვლით ცდილობს შეინარჩუნოს ბიზნესი სხვა ქვეყნებში მაინც. იგივე თურქეთს უარი არ უთქვამს რუსი ბიზნესმენების ჩასვლაზე, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ იქ შესული ფული ისევ და ისევ, მის ქვეყანას და ხალხს წაადგება. ტურისტებად ჩამოსული რუსების მიღება არ ნიშნავს პუტინის აგრესიის მხარდაჭერას.

- მაშინ რას ნიშნავს?

- ეს ნიშნავს, რომ ღია და მეგობრული ვართ ყველა იმ ხალხის მიმართ, ვინც პატივს სცემს საქართველოს სახელმწიფოს, აღიარებს მის სუვერენიტეტს, ანუ ვისაც შეუძლია აზროვნება და თვლის ამ ომს პუტინის თავაშვებულ აგრესიად.

- ამის მიუხედავად, უკრაინის პრეზიდენტმა საქართველოდან და მაროკოდან ელჩები გაიწვია. ზელენსკიმ აღნიშნა, რომ „სხვა სამსახური უნდა მოძებნონ იმ ქვეყნებში მყოფმა მისმა ელჩებმა „ერთი მხრივ, უკრაინას რომ ეხმარებიან, მეორე მხრივ კი რუსეთს სანქციებს არ აკისრებენ“.

- ჩვენი პოლიტიკა უკრაინასთან დაკავშირებით ცნობილია - ყველა პლატფორმაზე ვეხმარებით და გვერდში ვუდგავართ. ყველაფრის მიუხედავად, გავაგრძელებთ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას შესაძლებლობის ფარგლებში. აქვე გეტყვით დასავლეთის ექსპერტების, საერთაშორისო თანამეგობრობის, ევროპის პოზიციას, რომლებიც ღიად და ცალსახად აღიარებენ, რომ საქართველო ურყევად მიჰყვება ევროპის კურსს, შესაბამისად, ის ნაბიჯები, რომელიც ამ საშინელი ომის დროს უკრაინის მხარდასაჭერად გადადგა საქართველომ მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაქსიმალურია. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს ხელზე აქვთ დახვეული, თითქოს ჩვენ ღიად არ ვაფიქსირებთ რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებს. აბა რა ეწოდება ამ რეზოლუციაზე ხელმოწერას? ახლა მგონი გონს მოეგენ და აღარ აპროტესტებენ, რომ არ ვაგზავნით უკრაინაში მოხალისეებს და იარაღს. არათუ საქართველო, დიდი შვიდეულის ევროპული ქვეყნებიც კი ერიდებიან მსგავსი ნაბიჯების ოფიციალურად გადადგმას, უარს აცხადებენ იარაღის მიწოდებაზე, რადგან ეს იქნება მილიტარიზაციაში ჩართვა და მეორე ფრონტის გახსნა. არცერთი ჭკუათმყოფელი არ მოაწერს ამაზე ხელს, რადგან პლანეტა დადგება ბირთვული ომის საფრთხის წინაშე, რომელსაც ვეღარაფერი შეაჩერებს. ამ ფონზე, ომში ჩართრეული ქვეყნის გარდა, ვერავინ მოუწოდებს საქართველოს, საკუთარ ტერიტორიაზე გაუხსნას რუსეთს მეორე ფრონტი.

- რას იტყვით „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტმა ახლახან მიიღო. შესაძლებელია ამნისტია ასლან აბაშიძესაც შეეხოს?

- აქ აზრი იყოფა, ყველა თავისას ამტკიცებს. აბაშიძის მმართველობის პერიოდში, მის ოპოზიციაში ვიყავი, მისი რეჟიმის მოწინააღმდეგე ორგანიზაციაც კი გვქონდა ჩამოყალიბებული ახალგაზრდებს. ამის მიუხედავად, პირადად ვთვლი, რომ საკმაოდ დიდი დროა გასული და აღარ უნდა დავუშალოთ ასლან აბაშიძეს სამშობლოში დაბრუნება. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ხშირად, დანაშაულის გამო, 80-100 წლის ადამიანებსაც კი უსჯიან სასჯელს. მაგალითად, ფაშისტური გერმანიის მხარდაჭერაში მხილებულთ, ანუ არსებულ კანონს გვერდს ვერ ავუვლით. ასეა აქაც, თუკი კანონი იძლევა ასლან აბაშიძის ამნისტირების საშუალებას, ექსპერტები დაადგენენ და დასკვნას დადებენ. პირადად ჩემი მოსაზრებაა, 2004 წელს ქვეყნიდან გასული კაცი უნდა დაბრუნდეს, თუკი კანონი დართავს ნებას.

- მთავრობის დამხობის შესახებ სააკაშვილის მოწოდებაზე რას იტყვით?

- ეს უკვე სასაცილო უფროა, ვიდრე სერიოზულ ასპექტში განსახილველი. დარწმუნებული ვარ, მისივე მხარდამჭერებიც ხუმრობად აღიქვამენ ასეთ მოწოდებებს. სააკაშვილს ფსიქიკური აშლილობის ნიშნები აქვს, რასაც დაადასტურებენ სპეციალისტები, დაუნიშნავენ მკურნალობას და მიუჩენენ ადგილს. ისიც ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილს ადეკვატური აზროვნების არაფერი ეტყობა. ვფიქრობ, სააკაშვილის ცხოვრების პირველი ეტაპი იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, შემდეგი - ფსიქიატრიული საავადმყოფო. ბოლოს, ალბათ, ივლის თბილისის ქუჩებში და ანალოგიურ მოწოდებებს გააკეთებს.

- დღეს შუალედური არჩევნებია, რა შანსები აქვს „ქართული ოცნების“ კანდიდატს?

- ძალიან დიდი შანსები აქვს და ამას ადასტურებს შეხვედრები მოსახლეობასთან. რამაზ ჯინჭარაძეს ყველა იცნობს, დადებითად ახასიათებენ და ყველა უდასტურებს, რომ აუცილებლად მისცემს მას ხმას. თუ დააკვირდით, ოპოზიციამ რამაზის წინააღმდეგ ვერც ერთი ბრალდება ვერ ამოაგდო და აღარ იციან, როგორ მოახდინონ ჩვენი დისკრედიტაცია.

- როგორ არა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით, გონიო-კვარიათის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 1053 ადამიანი ჩაეწერა, ადრე სხვა მუნიციპალიტეტებში რომ ცხოვრობდა და თქვენს მხარდამჭერად მოიაზრება.

- როგორც კი ახლოვდება არჩევნები, ოპოზიციის მხრიდან იწყება უსაფუძვლო ბრალდებების კორიანტელი. ამას ისე შევეჩვიეთ, რომ არაფერი ეთქვათ, გაგვიკვირდებოდა. ამასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ ბათუმის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ირაკლი ჭეიშვილმა გააკეთა განცხადება. მეც ჩემსას გეტყვით, თუ რატომ გაიზარდა ამ პერიოდში ჩაწერილი ხალხის რაოდენობა. ერთ-ერთი მიზეზია ვადაგასული პირადობის ბარათების აღდგენა. ასეთი პირები ბაზაში ფიქსირდებიან, როგორც ახალი ამომრჩევლები. ვისაც 18 წელი შეუსრულდა, ისიც შევიდა ბაზაში და მესამე გახლავთ - ფაქტიურ მისამართზე დაფიქსირებული მოქალაქეები. ეს პროცესები არათუ ყოველწლიურად, ყოველდღიურად მიმდინარეობს, რადგან თუ ადამიანი ყიდის ბინას, ბანკიდან იღებს სესხს ან რეესტრის სხვა სერვისზე სურს მიუწვდებოდეს ხელი, ფაქტიურ მისამართზე რეგისტრირდება. სხვა უბნებშიც ასეა, აქედან გამომდინარე, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ უმჯობესია სხვა ბაზებიც გადაამოწმოს და შემდეგ გაუღეროს ბრალდება. თანაც, რატომ არიან დარწმუნებული, რომ ეს ხალხი მაინცდამაინც „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს, იქნებ მათი ამომრჩეველია? საიდან იციან, ვინ რას ფიქრობს და რომელ პარტიას ანიჭებს უპირატესობას? ჩვენგან არ ყოფილა მსგავსი ბრალდებები, არადა თავისუფლად შეგვეძლო გვეთქვა, გაზრდილია სიები, „ნაციონალების“ მიერ გატარებული ქმედებების გამოო.

- ანუ, არ აპირებთ არაფრის გარკვევას?

- რა აზრი აქვს? ამას არა, სხვა რამეს დაგვაბრალებდნენ. ჩვენთვის სტანდარტული სიტუაციაა, როდესაც ამომრჩეველთა სიები ავტომატურად იზრდება ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ასეთი აღელვება კი მხოლოდ და მხოლოდ ერთს ამტკიცებს - კარგად იციან, ამ ოლქის მოსახლეობა ჩვენ გვიჭერს მხარს და მათ არ გააჩნიათ გამარჯვების შანსი.

- საქართველო დიდი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დგას, ექსპერტები გვარაუდობენ, რომ სასურსათო დეფიციტის პირობებში აღმოვჩნდებით..

- ფაქტია, არაორდინალურ ვითარებაში ვართ. კრიზისი იქნება, თუმცა მისი დარეგულირების ბერკეტები ჩვენს სახელმწიფოს გაჩნია, იგივე ალტერნატიული ბაზრების მოძიების საშუალებით. მოგეხსენებათ, საქართველოში იქმნება არა რამდენიმე დღის, რამდენიმე თვის მარაგები, რაც საშუალებას გვაძლევს, დეფიციტის წარმოქნის გარეშე ვიპოვოთ სასურსათო მარაგის სხვა წყარო. გვაქვს ურთიერთობა ევროკავშირთან. მის ქვეყნებთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი მოქმედებს, რაც კრიზისის ნეიტრალიზაციის და დაბალანსების იმედს იძლევა. მხოლოდ სამშენებლო ბაზრის გვეეჭვება, რომლის ძირითადი მომწოდებელი უკრაინა და რუსეთი გახლდათ. იქიდან ჩამოგვქონდა რკინა, სხვა სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები. თუმცა, აქაც ვეძებთ ალტერნატიული პროდუქციის მოპოვების ბაზრებს. ჩვენი მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს დააბალანსოს არსებული ეკონომიკური ვითარება. მართალია, გარკვეულ პროდუქციაზე ფასების მატებაა, მაგრამ როგორც იმპორტიორი ქვეყანა, ვერ მოვახდენთ ზეგავლენას, რადგან ვეყრდნობით მსოფლიო ბაზარს.

> ***„ არათუ საქართველო, დიდი შვიდეულის ევროპული ქვეყნებიც კი ერიდებიან მსგავსი ნაბიჯების ოფიციალურად გადადგმას, უარს აცხადებენ იარაღის მიწოდებაზე, რადგან ეს იქნება მილიტარიზაციაში ჩართვა და მეორე ფრონტის გახსნა. არცერთი ჭკუათმყოფელი არ მოაწერს ამაზე ხელს, რადგან პლანეტა დადგება ბირთვული ომის საფრთხის წინაშე, რომელსაც ვეღარაფერი შეაჩერებს***

რა მიმართულებებით აპირებს საკრებულოს ახლად არჩეული თავმჯდომარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის განვითარებას?

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომაზე 2022 წლის ბიუჯეტი განიხილეს, რომელიც გაიზარდა და დღეს უკვე 29 მილიონ ლარზე მეტია. ფინანსურ დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია ჯანდაცვისა და სოციალურ პროექტებზე. კიდევ რა მიმართულებით მუშაობს მუნიციპალიტეტი, ამაზე ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე გვიპასუხებს. ***თენგიზ ირემაძე*** *აღნიშნულ თანამდებობაზე არჩევამდე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა.*

- ბატონო თენგიზ, დავიწყოთ საკრებულოს ბოლო სხდომით. როგორც ვიცით, მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში ცვლილებებია.

- პირველ რიგში, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შედგენილია მოსახლეობის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე. ჩვენ გვაქვს ხშირი შეხვედრები მათთან, ვისმენთ საჭირბოროტო საკითხებს, შესაბამისად, ეს მოგვყავს კანონის ჩარჩოში და ვაკეთებთ პროექტებს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის პრობლემები გვარდება. საკრებულოს ბოლო სხდომაზე განვიხილეთ გაზრდილი ბიუჯეტი, რომელიც უკვე შეადგენს ოცდაცხრა მილიონ ას ორმოცდაათ ათას ლარზე მეტს. ასევე, მივიღეთ დადგენილებები, რომლებიც მოიცავს როგორც სოციალურ, ასევე, ინფრასტრუქტურულ პროექტებს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო კულტურული მიმართულების პროექტები. აღნიშნული საკითხი მოიცავს როგორც ფულად ჯილდოებს, ისე სხვადასხვა პრიზს, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგია. ეს ყველაფერი მისცემთ შესაძლებლობას სპორტსმენებსა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, რომ უფრო მეტი მიღწევა ჰქონდეთ.

- რა პროგრამებზე მუშაობს საკრებულო და რა არის ამ წლის მთავარი პრიორიტეტი?

- ძირითადი არის სოციალური საკითხები, თუმცაღა ჩვენ, როგორც აღვნიშნე, ვმუშაობთ არა მარტო სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, არამედ, ასევე, ჰუმანიტარულ საკითხებზე. ეს შეიძლება იყოს კულტურა, სპორტი და ასე შემდეგ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაქსიმალურ ძალისხმევას ვდებთ სპორტისა და კულტურის განვითარებაში. რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება ის სოციალური ფონი, რაც არის მოსახლეობაში, ამიტომ ყველა პროგრამა მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სურვილებსა და საჭიროებებზეა მორგებული.

- თქვენ ხშირად ხვდებით მოსახლეობას, რა მთავარი მოთხოვნა/თხოვნა აქვს მას?

- მოგეხსენებათ, ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი მეწყერსაშიში ზონაა, შესაბამისად, ძირითადი პრობლემა დღესდღეობით ფერდობების მოწესრიგებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით წელს ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდება, ეს არ იქნება საკმარისი პრობლემის სრულად გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას. გარდა ამისა, გზების ნაწილი თითქმის მოწესრიგებულია, თუმცა, არის რაღაც ნაწილი დარჩენილი. ასევე, წყლის მიმართულებითაც არის გარკვეული მოუგვარებელი საკითხები, ვცდილობთ, მოსახლეობისგან მოწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ისეთი პროექტები შევიმუშაოთ, რომ უსწრაფესად მოვაგვაროთ მათი პრობლემები.

- ოპოზიცია ხშირად საუბრობს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე, იქნება ეს გზა, წყალი თუ გაზი...

- პირველ რიგში, ვისურვებდი, რომ პოზიციამაც და ოპოზიციამაც ერთად შეძლოს მუშაობა. ჩვენ ყველა ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ერთსა და იმავე გზებს გავდივართ, ერთსა და იმავე მიწაზე ვცხოვრობთ, ერთსა და იმავე მუნიციპალიტეტს ვემსახურებით. ვისურვებდი, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები უფრო საქმიანად იყვნენ ჩართულები, უფრო კონკრეტიკაზე იყვნენ ორიენტირებულები და დარწმუნებული ვარ, თუ წამოვა მათი მხრიდან ჯანსაღი აზრი, რომელიც ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას აამაღლებს, დიდი სიამოვნებით, პირადად მე და ჩვენი გუნდიც დაუჭერს მხარს. სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის ეს ვერ ხერხდება გარკვეულ ოპოზიციურ ჯგუფთან. მაინც იმედს დავიტოვებ, რომ სამომავლოდ ამ მიმართულებით, ერთობით გავაგრძელებთ ჩვენს მუნიციპალიტეტზე ზრუნვას.

- როგორ ფიქრობთ, მუნიციპალიტეტისთვის რა არის ის მთავარი მიმართულება, რომელიც უფრო მეტად უნდა განვითარდეს?

- ჩვენს მუნიციპალიტეტს აქვს იმის პოტენციალი, რომ ბევრი მიმართულებით განვითარდეს. ერთ-ერთი ასეთია ტურიზმი. ამ სფეროში, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც გვაქვს, მაჭახლის ხეობაა, რომელიც უნიკალური ადგილია. უნიკალური ადგილი ბევრი გვაქვს, მახინჯაურიდან დაწყებული - სარფის ჩათვლით. გვაქვს ასევე ულამაზესი მდინარეები, მაგალითად, თხილნარში. ახალი სოფელი, რომელსაც განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს - საოჯახო სასტუმროები, მეწარმეობა. ეს ყველაფერი მიბმულია ტურიზმზე. მნიშვნელოვანია წარმოება, მცირე საწარმოები, ესეც აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის და, რა თქმა უნდა, მოსახლეობისთვის. ეს არის თვითდასაქმების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და ჩემი წინა სამსახურიდან გამომდინარე, შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ მაქსიმალურს აკეთებს დღეს ხელისუფლება ფერმერების ხელშესაწყობად.

- თავად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი თუ ახორციელებს ისეთ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს საქმიანობის განვითარებაში?

- ჩვენ ვაკეთებთ ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის. გვაქვს ხშირი გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან თემების მიხედვით. მათ ვაცნობთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, ასევე, აჭარის მთავრობის და ცენტრალური მთავრობის პროგრამებს. უამრავი განცხადება შემოდის როგორც საწარმოს შექმნაზე, ისე ტურიზმის და სხვა მიმართულებით, რაც ძალიან მახარებს. როცა მოდის ხალხისგან მოთხოვნა პროგრამებზე და როცა მათ უკმაყოფილდებათ ეს განცხადებები, ნიშნავს, რომ იქმნება სამუშაო ადგილები და იქმნება პოტენციალი ტურიზმის მხარდაჭერისთვის. მაგალითად, ჭარნალში არის ერთ-ერთი პატარა საწარმო, სადაც ზაფხულობით ხშირად დადიან ტურისტები. შეხვედრაზე საწარმოს მეპატრონეს მივაწოდეთ იდეა, რომ იქვე გაეკეთებინა საოჯახო სასტუმრო, დაგვიჯერა და წელს უკვე პირველ სტუმრებს მიიღებს. მოვუწოდებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, არ დაიზარონ და აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა პროგრამებში. პირადად დავეხმარები ჩვენს მოქალაქეებს, რომ გააკეთონ საწარმოები, დასაქმდნენ და დაასაქმონ მოსახლეობაც. რაც მეტი წარმატებული ფერმერი და მეწარმე გვეყოლება, მით უფრო ძლიერი სახელმწიფო გვექნება. ამის საშუალებას იძლევა როგორც მუნიციპალიტეტი, ისე ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობა.

- როგორც ვიცით, ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევამდე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდით. სად გრძნობთ თავს უფრო კომფორტულად?

- ზოგადად - ყველგან, სადაც საზოგადოებაა და მასთან მიწევს მუშაობა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში კონკრეტულ სპეციალობაზე ვმუშაობდი, არაჩვეულებრივი მინისტრი გვყავს - ბატონი გიორგი სურმანიძე, რომელიც საკმაოდ გამოცდილია, მასთან ერთად მუშაობა კი დიდი კომფორტია. რაც შეეხება საკრებულოს, აქ ფართოდ არის გაშლილი სივრცე ყველა მიმართულებით... და მაინც, ეს ყველაფერი ახალი გამოწვევაა. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი დინებით მივდივართ და დარწმუნებული ვარ, ასეც გაგრძელდება.

- რას ეტყვის საკრებულოს ახლად არჩეული თავმჯდომარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

- ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობაა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ეს არის ის, რაც წაგვიყვანს უკეთესობისკენ. აუცილებელია ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების აქტიური ჩართულობა, რათა მივაღწიოთ წარმატებას და განვითარებას. ეს უნდა იყოს მუდმივი კომუნიკაციიდან გამომდინარე და ჩვენი ერთობით უნდა შევძლოთ ქვეყნის და მუნიციპალიტეტის განვითარება.

> ***„ ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი მეწყერსაშიში ზონაა, შესაბამისად, ძირითადი პრობლემა დღესდღეობით ფერდობების მოწესრიგებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით წელს ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდება, ეს არ იქნება საკმარისი პრობლემის სრულად გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას***

ეკონომიკა

ლადო პაპავა: თუ ჩვენს მოსახლეობას პატივს ვცემთ, ჯობია, ინდური ხორბალი არ შემოვიტანოთ

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

გრძელდება ომი და გრძელდება ომით გამოწვეული პრობლემები. გარდა იმისა, რომ სანქციების დაწესებით რუსეთს უამრავი სირთულე შეუქმნა კოლექტიურმა დასავლეთმა, იმავე სანქციებით საკუთარი მოსახლეობაც დააზარალა, თუმცა შუაგულ ევროპაში გაჩაღებული ომის შესაჩერებლად სხვა საშუალება ვერ გამონახა. მესამე მსოფლიო ომის საფრთხის ასაცილებლად, დასავლეთი ვერ ეხმარება უკრაინას ცოცხალი ჯარით, ვერ ხსნის მეორე ფრონტს, მაგრამ სხვა ყველა ბერკეტს იყენებს აგრესორის შესაჩერებლად

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მსოფლიოს მრავალი მიმართულებით შეუქმნა პრობლემები. ევროკომისიის პრეზიდენტმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** რამდენიმე დღის წინ, სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მოსალოდნელ პრობლემებზე ისაუბრა:

„რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ ევროპის ფარგლებს გარეთაც აქვს შედეგები. ჰუმანიტარული საჭიროებები რეკორდულად მაღალ დონეზეა, კრემლი საფრთხეს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებას მთელ მსოფლიოში“. მისივე თქმით, სურსათის დეფიციტის პრობლემის მოსაგვარებლად ევროკავშირი - მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰუმანიტარული დონორი, 2024 წლამდე 2,5 მილიარდ ევროს გამოჰყოფს იმ რეგიონების დასახმარებლად, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასევე მიიღებს სპეციალურ ზომებს ევროპული საკვების წარმოების გაზრდის მიზნით.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე გლობალური სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ახალ საფრთხეებს ხედავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაც (FAO). მისი მიმოხილვის მიხედვით, რუსეთი მსოფლიოში ხორბლის ყველაზე დიდი ექსპორტიორია, უკრაინა - სიდიდით მეხუთე. ორივე ქვეყანა მსოფლიოს ქერის მარაგის 19%-ს, ხორბლის 14%-ს და სიმინდის 4%-ს აწვდის, რაც მსოფლიოში მარცვლეულის ექსპორტის ერთ მესამედზე მეტია. FAO-ში მიიჩნევენ, რომ მარცვლეულისა და ზეთის მიწოდების ჯაჭვისა და ლოგისტიკის შეფერხებები, ასევე რუსეთიდან ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები, მსოფლიო სურსათის უსაფრთხოების სურათს მნიშვნელოვნად შეცვლის. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დროისთვის მიმდინარე კონფლიქტის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა უცნობია, ამ ორი დიდი ექსპორტიორი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო აქტივობები კი, სავარაუდოდ, შეფერხდება, შესაძლოა, ამან მსოფლიოს სურსათით მომარაგებას სერიოზული საფრთხე შეუქმნას. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს მთავარ რისკფაქტორებზე და ვარაუდობს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ფინანსური სანქციები შეზღუდავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას და ზრდას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ფასებს.

„როცა მსოფლიოს მოსახლეობის 35%-სთვის ხორბალი მთავარი საკვებია, მიმდინარე კონფლიქტმა შეიძლება სწრაფად და მკვეთრად შეამციროს რუსეთიდან და უკრაინიდან ხორბლის ექსპორტი. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებენ თუ არა ამ ხარვეზის შევსებას ექსპორტიორები. ხორბლის მარაგი უკვე მცირდება კანადაში, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა და სხვა ქვეყნები, ალბათ, ექსპორტს შეზღუდავენ, რათა შიგა მოხმარება უზრუნველყონ“, - ნათქვამია დასკვნაში.

ეკონომიკის ექსპერტებისა და ანალიტიკოსების თქმით, ხორბლის რაოდენობა და მიწოდება მსოფლიო ბაზარზე შეზღუდულია, მაგრამ თვითონ FAO-შიც ფიქრობენ, რომ ეს უფრო აფრიკულ და განვითარდებად ქვეყნებს დაარტყამს. მსოფლიოში სულ 8 ქვეყანაა ხორბლის მიმწოდებელი, აქედან დღეს ორის - უკრაინა-რუსეთის პრობლემა დგას, რომელსაც მსოფლიო ბაზრის 25% უკავია და მათი ამოვარდნა ბაზრიდან, რა თქმა უნდა, პრობლემებს შექმნის. ეკონომიკური ანალიტიკოსები თანხმდებიან იმაზე, რომ სიტუაცია არაორდინარულია და, შესაბამისად, სუბსიდირების პროგრამები უნდა არსებობდეს. მთავრობები უნდა შეეცადონ, ხელი შეუწყონ იმპორტიორებს და უფრო მეტად განავითარონ ადგილობრივი წარმოება, რაც ყველაზე რეალური თავდაცვა იქნება ამ სიტუაციაში.

როგორც ეკონომისტი, პროფესორი **ლადო პაპავა** აცხადებს, დასავლეთში გამომავალ პუბლიკაციებში თანდათან მკვიდრდება ტერმინი - სასურსათო ომი, რაც ზუსტად ასახავს იმას, რომ რუსეთი ცდილობს, სურსათის პრობლემა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და ეს გასაგებიცაა - მას აქვს გარკვეული უპირატესობა მარცვლეულის ექსპორტში.

„ვიდრე ეს ომი და უკრაინის კრიზისი დაიწყებოდა, სურსათის წარმოების თვალსაზრისით, რუსეთი და უკრაინა მსოფლიოში საკმაოდ სერიოზული ექსპორტიორი ქვეყნები იყო. ხორბალს თუ ავიღებთ, უკრაინა და რუსეთი ერთად აწარმოებდნენ მსოფლიო ხორბლის სადღაც 15%-მდე, ექსპორტს რაც შეეხება, ორივე - მსოფლიო ექსპორტის 25%-ზე მეტს. ეს ძალზე დიდი მაჩვენებელია. ომის გამო, ბუნებრივია, უკრაინა ექსპორტიორი ვერ იქნება. მეტიც, მას თუ ხორბლის რამე მარაგი აქვს, ის შიდა მოხმარებისთვის

იხ. მე-7 გვ.

თეიმურაზ ბედინაძე: სამუშაოების პირველი ფაზა დასრულებულია, მეორე ეტაპი იწყება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველო-გერმანიას შორის თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით, აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში წყალარინებისა და წყალმომარაგების თანამედროვე ინფრასტრუქტურა შეიქმნება. მობილიზებული 59,5 მილიონი ევროს მიზანმიმართულად განკარგვის წინაპირობა იყო შპს „აჭარის წყლის ალიანსის“ ჩამოყალიბება. ჩვენი სტუმარია მისი გენერალური დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე

- მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი თანხები იყო მობილიზებული ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემების გამართული მუშაობისა და სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დაბების სასმელი წყლით შეუფერხებელი მომარაგების მიზნით, მთებიდანაც კი წყალსადენები გამოიყვანეს. ისეთ მრავალკომლიან სოფლებს, როგორებიცაა: ფურტიო, ბუთურაული, ნენია, ნიგაზეული, ჩანჩხალო, ახალდაბა, დიდაჭარა, ცხმორისი, მახალაკიძეები, ხიჭაურის დასახლება, ზღვისპირეთის რიგი ტერიტორია, სასმელი წყლით მომარაგებაზე პრეტენზიები აღარ აქვთ.

- ამ ფონზე მაინც არის შეფერხებები, სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდება...

- იმ ქვეყანაში, სადაც მდინარეების, ნაკადულების, მიწიდან ამოხეთქილი თუ ზედაპირული წყაროების გამორჩეული სიუხვეა, სასმელი წყლის დეფიციტი არ უნდა იყოს. მართალია, ხულოში, შუახევსა და ქედაში ადრე და 21-ე საუკუნეშიც წყალსადენების ახალი სისტემები გაკეთდა, მაგრამ დღეს ეს არასაკმარისია. დეფიციტს განაპირობებს მოსახლეობის მატება, წყალზე მოთხოვნის გაზრდა. თუნდაც მთაში, ერთი ოჯახი 10-ჯერ გაზრდილი რაოდენობის წყალს მოიხმარს. მთისა და ბარის რაიონებში იშვიათობა იყო საოჯახო სასტუმროები, უცხოელი და ადგილობრივი ვიზიოტირების მოზღვავება. 10 წლის წინ შორეულ სოფელ დანისპარაულში არცერთი საოჯახო სასტუმრო არ იყო. ახლა მათი რაოდენობა 50-ს უახლოვდება. წყალმომარაგებაში დეფიციტი რომ დაიძლიოს, ადგილობრივი მოსახლეობა ბუნებით ბოძებულ ამ სიკეთეს მიზნობრივად რომ იყენებდეს, გერმანიის მთავრობამ და ევროკავშირმა 59,5 მილიონი ევრო გაიღეს.

- დროის რა მონაკვეთში იქნება ეს თანხები ათვისებული?

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს ინიციატივით, შეხვედრა გავმართეთ იმ სოფლების, ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომლებიც ახალ პროექტებში ჩაერთვებიან. ეს პროექტი ხუთწლიანია - დაიწყო 2019 წელს და რაც შემდგომში გავითვალისწინეთ. უკვე გამიჯნულია ის ტერიტორიები, სადაც წყალსადენების ტრასა გაივლის. შუახევში წყალი გიდელას ხევიდან მოგვყავს, ჩამომდინარე წყალი სათავეს აჭარა-გურიის ქედის კალთებიდან იღებს, ნალექებითა და წყაროებით საზრდოობს. წყალდიდობისა და წყალმოვარდნების შემთხვევაშიც არ იმღვრევა. ასეთივე პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ სხვა მუნიციპალიტეტებშიც. შევარჩიეთ კონსულტანტები, მათთან ხელშეკრულებები გაფორმდა, რომელთა საფუძველზე პროექტირება უნდა განხორციელებულიყო. კონსულტანტებს ასევე მოეთხოვებათ სამშენებლო კომპანიების შერჩევა, სხვა საორგანიზაციო სამუშაოები. 2020 წლის ბოლოსთვის საპროექტო სამუშაოები დასრულდა. ხელთ გვქონდა ხარჯთაღრიცხვა, ნახაზები, კვლევები, საპილოტე სოფლების ჩამონათვალი. 2020 წლის დეკემბერში სამშენებლო სამუშაოების დაწყების თაობაზე კონკურსი გამოცხადდა, რომელიც დღემდე გრძელდება.

- ორ წელზე მეტია გასული... კონკურსი რატომ გაიწელა დროში?

- ეს კონკურსი ორეტაპიანი და საერთაშორისოა. პირველ ეტაპზე უნდა შეგვერჩია საუკეთესო კომპანიები. მათი რაოდენობა ხუთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. გვაქვს შეფასების კრიტერიუმები. თითოეულ კომპანიას ასბალიანი შეფასებიდან 75%-ზე მეტი უნდა მიეღო. უკვე ხუთივე კომპანია შერჩეულია. მეორე ეტაპზე კომპანიები წინადადებებს წარმოადგენენ. აქაც ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს გათვლილი. დაბების კონკურსი ცალკე გამოცხადდა. დაბების კონკურსში ორი ლოტია, სოფლებში - სამი.

- ეს როგორ გავიგოთ?

- პროექტის მთლიანი ღირებულება ხუთ ნაწილად გაიყო. თითოეულ ლოტზე შესაძლებელია ცალკეული კომპანია იყოს გამარჯვებული. ყველა კონკურსი ერთმა კომპანიამ რომ მოიგოს, არც ეს არის გამორიცხული. მშენებლობის პერიოდში კომპანია რომ გაკოტრდეს ან უარი თქვას, მთელი პროცესი ჩამოიშლება და თავიდან დაიწყება. ხუთი ლოტიდან სხვადასხვამ რომ მოიგოს, მაშინ სამუშაოთა მიმდინარეობისას დიდი რისკის წინაშე აღარ დავდგებით. კონკურსი დროში პანდემიიდან გამომდინარე გაიწელა, ამასთან, პროექტი ჯამურად 12 მილიონი ევროთი გაძვირდა. იცით, მსოფლიო ბაზარზე ფასები მერყეობს. გვქონდა პრობლემის გადაჭრის ორი გზა: პირველი - რეაბილიტაციიდან რაღაც ნაწილს ამოვიღებდით. უარს ვიტყოდით სამუშაოს შესრულებაზე. მეორე გზა დამატებითი დაფინანსება გახლდათ. საბოლოოდ, საქმე დადებითად გადაწყდა და 12 მილიონი ევრო დამატებით მოვიძიეთ, არცერთი სოფელი პროექტიდან არ ამოვიღეთ. მთავარ კომპანიებსაც პრობლემები შეექმნათ. ერთი ნაწილი უარს ამბობს პროექტში ჩართულობაზე მსოფლიო ბაზრის არასტაბილურობის გამო. რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია. გრძელვადიან პროექტებს სტაბილური გარემო სჭირდება. საბედნიეროდ, ტენდერის მეორე ეტაპი გრძელდება, კონკურსის ჩავარდნის საფრთხე არ ჩანს, მაგრამ... კონკურსში რამდენიმე კონკურენტუნარიანი და ერთმანეთის მოქიშპე კომპანია მონაწილეობს, დოკუმენტები მიღებულია, საქმეში ჩართულია გაერთიანებული ბანკიც. დოკუმენტაციის გადაგზავნის შემდგომ, კომპანიებს ეძლევათ 60 დღე, რომ შეთავაზებები წარმოგვიდგინონ. კიდევ თვენახევარია საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად. ჩემი ვარაუდით, შემოდგომისკენ ხელშეკრულებები გაფორმდება. პროექტი იმანაც შეაყოვნა, რომ გამოცხადებული გვქონდა კონკურსი სპეცტექნიკაზე. ეს პროცესი დასრულებულია, საჭირო მანქანები, სხვა ინვენტარი შემოტანილია, ტექნიკა ექსპლუატაციისთვის მზადაა. დასაწყობებულია ხუთი ექსკავატორი, ხუთი მანქანა 3 კუბური მეტრი მოცულობის ასაზიდით. შუახევი აჭარის მთიანეთის ბაზად ითვლება, ამიტომაც ტექნიკა ძირითადად აქ მოიყრის თავს. ჩამონათვალს დაემატება მცირე თვითმცლელები, პიკაპის ტიპის მსუბუქი ავტომანქანები, 70 დასახელების მოწყობილობა: შესადუღი აპარატები, მილების გადასაბმელი უთოები ქსელების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის.

> ***„შუახევში წყალი გიდელას ხევიდან მოგვყავს, ჩამომდინარე წყალი სათავეს აჭარა-გურიის ქედის კალთებიდან იღებს, ნალექებითა და წყაროებით საზრდოობს. წყალდიდობისა და წყალმოვარდნების შემთხვევაშიც არ იმღვრევა. ასეთივე პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ სხვა მუნიციპალიტეტებშიც***

2024 წელს დასრულდება. შუახევში აქტივობები იგეგმება შემდეგ ლოკაციებზე: გომარდული, სხეფი, სხეფელა, ღორექეთი, თერნალი, ვარჯანული, წანკალაური, ჭალა, წყაროთა, ბრილი, ზემოხევი, ბარათაული, კვიახიძეები, გოგაძეები, ტბეთი, ჟანივრი, დაბა შუახევი. პროექტის ფარგლებში მარტო შუახევის მუნიციპალიტეტში 7,5 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯება. დარჩენილი თანხა პროპორციულად სხვა მუნიციპალიტეტებზე გადანაწილდება.

- დღემდე რა სამუშაოებია შესრულებული?

- პროექტის დაწყება პანდემიასა და მის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს დაემთხვა. გულხელდაკრეფილნი მაინც არ ვიყავით. აჭარის ფინინსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან საქმიანი შეხვედრები გვქონდა დაბების ცენტრებში, საპილოტე სოფლებში. მოსახლეობა წინადადებას გვთავაზობდა,

- ტექნიკას შესაბამისი მუშახელიც სჭირდება...

- მალე დაიწყება პროექტში დასასაქმებელი სპეციალისტების შერჩევა. პირველ რიგში, აქცენტი ადგილობრივ კადრებზე გადაგვაქვს. სამუშაოზე აყვანამდე ისინი საჭიროებისამებრ გადამზადდებიან.

ანაკლიის პორტისადმი ინტერესი რამდენიმე ინვესტორმა გამოხატა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ საქართველოში პორტების კვლევა ჩატარდა, რის საფუძველზეც ანაკლიის განვითარების პროგრამა შემუშავდა. მისივე თქმით, საბოლოოდ ეს პროექტი განხორციელდება.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია არსებული პორტების მოდერნიზაცია. ეს პროცესი მიმდინარეობს - თვე-ნახევრის წინ ახალი ტერმინალის გახსნის მომსწრენი ვიყავით. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აშენება.

ყველა პორტი, რომელიც კეთდება, უფრო მაღალ სიღრმეებზე და მეტი ტვირთამწეობის გემებზეა გათვლილი. ანაკლიის პროექტი საკმაოდ დიდია. რამდენიმე დაინტერესებული ინვესტორია, რომელიც სახელმწიფოსთან ამაზე საუბრობს. დეტალური კვლევა ჩავატარეთ ჰოლანდიურ კომპანიასთან, რომელმაც საქართველოს პორტები შეისწავლა, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, საერთო სურათი დაგვენახა და არ გვქონოდა აქცენტი მხოლოდ ერთ პორტზე. დღეს ეს კვლევები არსებობს, არის გარკვეული მიგნებები, ჩვენთვის დასკვნებია გაკეთებული. ჯერ კიდევ ომის დაწყების წინა დღეებში მივიღეთ ეს კონკრეტული პროდუქტი. ამის საფუძველზე მოვამზადეთ პროგრამა, როგორ უნდა განვავითაროთ ანაკლია. ეს რამდენიმე ელე-

მენტს მოიცავს, მათ შორის არის საარბიტრაჟო დავების მოგვარების საკითხი, რომელშიც ჩვენი პოზიციები უნდა წარვადგინოთ საკონსულტაციო იურიდიულ კომპანიასთან ერთად. საბოლოოდ, ჩვენ ამ პროექტს განვახორციელებთ“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ამირან გურიელიძე

„ჩინეთს არ შეუძლია თვალი დახუჭოს რუსეთის მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევაზე“

CNN-ის ინფორმაციით, ეს განცხადება ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ სი ძინპინთან ვირტუალური სამიტის შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, ჩინეთი და ევროსაბჭო შეთანხმდა, რომ ეს ომი საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას და მსოფლიო ეკონომიკას. მიშელის თქმით, ევროპული საბჭო მიესალმება ჩინეთის პოზიტიურ ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგმება უკრაინაში რუსეთის ომის შესაჩერებლად.

„ჩვენ ფხიზლად ვიქნებით ნებისმიერ მცდელობასთან მიმართებით რუსეთისთვის ფინანსური ან სამხედრო დახმარების თვალსაზრისით, აგრეთვე მათ მიმართ, ვინც გვერდს აუვლის უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს, თუმცა ყველა ნაბიჯი ჩინეთთან მიმართებით, რომლებიც გადაიდგმება ომის შეწყვეტისთვის, მისასალმებელი იქნება“, - განაცხადა შარლ მიშელმა.

მისი თქმით, შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩინეთისთვის განემარტათ ევროკავშირის პოზიცია, მოეწოდებინათ ჩინეთისთვის ქმედებებისკენ, რათა ვალდებულება აიღოს, აქტიურად ჩაერთოს ძალისხმევაში მშვიდობისა და სტაბილურობის აღსადგენად.

შარლ მიშელთან ერთად სამიტს ესწრებოდა ევროპული კომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი. ორივემ ჩინეთს განუცხადა, რომ არ უნდა ჩაერიოს ევროკავშირის სანქციებში.

ამირან გურიელიძე

გერმანიამ მხარი დაუჭირა უკრაინისთვის 56 საბრძოლო ტანკის გადაცემას

ამის შესახებ CNN-ს გერმანიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განუცხადა, რომლის ვინაობაც არ სახელდება. სამინისტროს მონაცემებით, Pbv 501 ტიპის ტანკები ე. წ. ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთ გერმანიის არმიას ეკუთვნოდა, რომლებიც ჯერ შვედეთს, შემდეგ კი ჩეხეთს მიჰყიდა და მათ ახლა უკრაინას გადასცემენ.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, გერმანიის იარაღის შესახებ კანონის თანახმად, უსაფრთხოების ფედერალურმა საბჭომ ნებისმიერ დროს უნდა დაამტკიცოს იმ იარაღის ექსპორტი, რომელიც გერმანიაშია წარმოებული.

ამირან გურიელიძე

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით...

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს მოვლა-შენახვის სამუშაოებს.

მიმდინარეობს სანიაღვრე არხების, მილების გაწმენდა, მთიდან ჩამონაშალი ქვაღორღის გატანა, მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები, ასევე, მეწყრული პროცესების შედეგად ჩამოსული მიწის მასისაგან გაწმენდის სამუშაოები.

საარჩევნო ვნებათაღელვა და... დაკომპლექტების მოლოდინი – საკრებულოში

პირველი გვერდიდან

„ბუნებრივია, წინასაარჩევნო მონაცემები „ნაციონალურ მოძრაობასაც“ აქვს და მათაც იციან, რომ ბათუმში არჩევნები მათი კანდიდატის მარცხით დამთავრდება. ამის გამო გადაწყვიტეს, ამ არჩევნებზეც ნაცად ხერხს მიმართონ და მის მშვიდ გარემოში ჩატარებას მაქსიმალური სირთულეები შეუქმნან“,- განაცხადა პარტიის ოფისში გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ. როგორც მან აღნიშნა, ბათუმში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიავლინა ყველაზე სტაჟიანი პროვოკატორები, რომელთა პოლიტიკურ შოუებსაც, სავარაუდოდ, დღეს ტელეეკრანებიდანაც ვიხილავთ.

„ამ არჩევნებს აქვს სერიოზული დატვირთვა ბათუმისთვის. სწორედ ამ არჩევნებზეა დამოკიდებული ბათუმის საკრებულოში მყარი უმრავლესობის ჩამოყალიბება, რაც არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ჰქონდეს თუნდაც მინიმალური შანსი, დაბრკოლებები შეუქმნას ბათუმის განვითარებას და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას. ამ არჩევნებში ჩვენ წარვადგინეთ ღირსეული ბათუმელი კაცი რამაზ ჯინჭარაძე, რომელიც წლების განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა აჭარას და რეგიონის მოსახლეობას. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ჩვენს კანდიდატს აქვს დიდი უპირატესობა... მოვუწოდებთ „ნაციონალურ მოძრაობას“, ხელი არ შეუშალონ არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარებას და ამომრჩეველს მისცენ საკუთარი არჩევანის მშვიდ გარემოში გაკეთების შესაძლებლობა. ასევე მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, ყველა სამართალდარღვევას, რომელიც ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის წინააღმდეგ იქნება მიმართული, კანონის მთელი სიმკაცრით გასცეს პასუხი“,- განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

დღეს საღამოს ცნობილი გახდება წინასწარი შედეგები, თუმცა ვნებათაღელვა, სავარაუდოდ, ადვილად არ დაცხრება. მოვლენების გაგრძელებას საკრებულოში უნდა დაველოდოთ.

ელენე საყვარელიძე

„არამეგობრული ქვეყნებისთვის“ გაზის რუბლით მიწოდების გადაწყვეტილება მომავალში შესაძლოა გაუქმდეს...“

„...მაგრამ ამ დროისთვის ეს ყველაზე სანდო ვარიანტია მოსკოვისთვის“ - ამის შესახებ ჟურნალისტებს კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განუცხადა.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა გაუქმდეს გადაწყვეტილება გაზის საფასურის რუბლებში გადახდის შესახებ, პესკოვმა აღნიშნა:

„რა თქმა უნდა, ეს მოხდება, თუ სხვა პირობები იარსებებს. ამ შემთხვევაში გამორიცხული არაფერია, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენთვის ყველაზე სასურველი და საიმედო ვარიანტია რუბლი“, - განაცხადა პესკოვმა.

ხუთშაბათს რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ევროპულმა ქვეყნებმა რუსეთისგან გაზის ნაწილი ფაქტობრივად უფასოდ მიიღეს, რადგან „ევროში გადაიხადეს, რომელიც შემდეგ თვითონვე გაყინეს“.

პესკოვის ინფორმაციით, გაზის საფასურის რუბლში გადახდის შესახებ პრეზიდენტ პუტინის ბრძანება არ ვრცელდება უკვე მიწოდებულ ბუნებრივ აირზე.

შეგახსენებთ: ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც „არამეგობარმა ქვეყნებმა“ რუსული გაზის საფასური რუბლში უნდა გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაზის მიწოდება შეუწყდებათ.

ამირან გურიელიძე

ლადო პაპავა: თუ ჩვენს მოსახლეობას პატივს ვცემთ, ჯობია, ინდური ხორბალი არ შემოვიტანოთ

მე-5 გვერდიდან

ანუ საკუთარი მოსახლეობის გამოსაკვებად დასჭირდება, ხოლო რუსეთი ამ ხორბალს, პრაქტიკულად, იყენებს როგორც იარაღს. ყირიმის კონფლიქტის შემდეგ მან გააძლიერა მარცვლეულის წარმოება, მისი ექსპორტი და წარმოიდგინეთ, ახლა მსოფლიო ექსპორტს მოაკლდება მეოთხედი - 25%, რაც ნიშნავს, რომ მიწოდება შემცირდება, ფასები კი გაიზრდება. რუსეთი რის ექსპორტსაც განახორციელებს, იმას დაადებს ძალიან დიდ ფასს, თუ არადა, არ გაიტანს და ამითაც გაიზრდება ფასები. ამიტომ გაჩნდა ასეთი ახალი ტერმინი - სასურსათო ომი. ეს ტერმინი ნელ-ნელა მკვიდრდება დასავლეთში გამომავალ პუბლიკაციებში, რაც ზუსტად ასახავს იმას, რომ რუსეთი ცდილობს სურსათის პრობლემა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ეს ჩემთვის გასაგებიცაა, რადგან რუსეთს აქვს გარკვეული უპირატესობა მარცვლეულის ექსპორტში. ამ შემთხვევაში, რა მოხდება ხორბალზე? რა თქმა უნდა, ფასები გაიზრდება და საბოლოო ჯამში, ეს აისახება პურის ფასზე. ეს არის გარდაუვალი მსოფლიო ტენდენცია, რომელიც დიდი ალბათობით, იქნება“.

ეკონომისტის თქმით, ძალზე ბევრი სამუშაოა ადგილობრივი წარმოების გაზრდის თვალსაზრისით, ამასთანავე, რა თქმა უნდა, მიდის ახალი ბაზრების მოძიებაც.

„რაც შეეხება საქართველოს, რა თქმა უნდა, აქაც გაძვირდება სასურსათო პროდუქტები და გაძვირდება პურიც, ხორბალი არის მთავარი, მით უფრო, ჩვენ თითქმის სრულად ვართ დამოკიდებული რუსულ იმპორტზე. რუსეთმა, პრაქტიკულად, შეაჩერა ხორბლის ექსპორტი, ზოგიერთი მიმართულებით გააძვირა მაშინ, როცა ფქვილის ექსპორტზე ჯერჯერობით ისეთი ტიპის გაძვირება არ არის, რაც ასტიმულირებს მის ექსპორტს რუსეთიდან. ეს ნიშნავს, რომ რუსეთში წისქვილკომბინატები მუშაობს, საქართველოს შემთხვევაში კი ნიშნავს, რომ წისქვილკომბინატები უნდა გაჩერდეს - სჯობს ფქვილი შემოიტანო, უფრო იაფი იქნება, პურის ფასი რომ არ გაგიძვირდეს და გააჩერო წისქვილკომბინატები. ეს აისახა კიდეც ქართულ იმპორტზე, ამიტომ აქ ძალზე ბევრი სამუშაოა, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი წარმოების გაზრდის კუთხით. ჩვენ გვაქვს სერიოზული რესურსი, რეზერვი, რათა გავზარდოთ ხორბლის წარმოება. ეს არ ნიშნავს, სრულად ვაწარმოებდეთ იმ რაოდენობით ხორბალს, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, მაგრამ შესაძლებელია, რომ იმპორტი შევამციროთ. ამასთან, რა თქმა უნდა, მიდის ახალი ბაზრების მოძიება. საინტერესოა ყაზახეთიდან მარცვლეულის იმპორტი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყაზახეთი რუსეთთან ერთად ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია და ამან შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ რუსეთმა ყაზახეთს მოსთხოვოს გარკვეული ბარიერების დაწესება და... გვრჩება, ძირითადად, მექსიკური, ამერიკული თუ კანადური ხორბალი. რაც შეეხება ინდურ ხორბალს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ის საკმაოდ დაბალი ხარისხისაა და თუ ჩვენს მოსახლეობას პატივს ვცემთ, ჯობია, ინდური ხორბალი არ შემოვიტანოთ.

პანდემია ჯერ დასრულებული არ არის და არც პანდემიით გამოწვეული ინფლაციაა დაძლეული. ამას დაემატა უკრაინის კრიზისი და დასავლეთის მიერ რუსეთზე დაწესებული სანქციები, რაც ნიშნავს, რომ ინფლაციური პროცესები მთელ მსოფლიოში გაგრძელდება, ეს გარდაუვალი პროცესია. რაც შეეხება რუსეთს, ის ყველანაირად ცდილობს, შეიმსუბუქოს მდგომარეობა, გამოიყენოს ჩინეთის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების მიმართულება. ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესებშია, მაგრამ პრაქტიკულად რუსეთში უკვე დაწყებულია სავალუტო კრიზისი. თვალსაჩინოა ფინანსური კრიზისი და დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ იქ შემოდგომაზე ჩამოყალიბდება სრულფასოვანი ეკონომიკური კრიზისი. ეკონომისტებს გვაქვს ასეთი კრიტერიუმი - სულ ცოტა, 3 კვარტალი უნდა იყოს ეკონომიკური ვარდნა, ეკონომიკური კრიზისი რომ ჩაითვალოს. სამი კვარტალი კი 9 თვეა“.

„დიდი შვიდეული“ უარს აცხადებს, დაკმაყოფილოს მოსკოვის მოთხოვნა გაზის მხოლოდ რუსულ ვალუტაში შესყიდვაზე, - აღნიშნული განცხადება გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა რობერტ ჰაბეკმა გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, „დიდი შვიდეულის“ ყველა მინისტრი ერთსულოვანი იყო, რომ ეს არის არსებული ხელშეკრულებების ცალმხრივი და აშკარა დარღვევა: „რუბლით გადახდა მიუღებელია და ჩვენ მოვუწოდებთ დაზარალებულ კომპანიებს, არ დაემორჩილონ პუტინის მოთხოვნას“.

გერმანიის ეკონომიკის მინისტრის საპასუხოდ, ფედერაციის საბჭოს ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ივან აბრამოვმა აღნიშნა, რომ „დიდი შვიდეულის“ უარი „აუცილებლად გამოიწვევს გაზის მიწოდების შეწყვეტას“.

შეგახსენებთ: გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „არამეგობრულ“ ქვეყნებს ნავთობისა და გაზის საფასურის რუბლში გადახდა მოსთხოვა. „დიდ შვიდეულს“ მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის ქვეყნები წარმოადგენენ, მასში კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები შედიან. ყველა ეს ქვეყანა რუსეთის მიერ „არამეგობრული ქვეყნების სიაშია“ შეყვანილი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 1/04/22, 20 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

შორეულები დაგვიახლოვა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ცნობილმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა ოთარ ფუტკარაძემ ახლახან მკითხველს ახალი წიგნი „შორეული ახლობლები“ წარუდგინა. მის ნაღვაწს მწერალი და მეცნიერი გია ხოფერია ასე აფასებს: „მართლაც ჩინებული მთხრობელის არეალში უნდა მოხვედრილიყო ის დაუვიწყარი ამბები, „შორეული ახლობლები“ რომ გვაუწყებს და გასაქანს არ გვაძლევს, ბოლო გვერდამდე სანამ არ წავიკითხავთ, ბოლომდე არ მოვწყვეტთ თვალსა და გონებას წიგნის ყოველი გადაფურცვლისას ახმიანებულ იმ პულსსა და გულისძგერას, შთამბეჭდავად რომ დავანებულან თითოეულ სიტყვა-აბზაცში. გვესაუბრება მწერალი და ჟურნალისტი, არაერთხელ რომ მოუხილავს ოდითგანვე სრულიად ქართული გენით მდიდარი ტაო-კლარჯეთი, ახლანდელობაშიც ჩვენი წინაპრების ნატერფალები რომ შეუნარჩუნებია და ყოველთვის განედლებულად გრძნობს თავს იქაურიცა და მემლექეთელიც, მშობლიურად რომ შეესიტყვება და მოეფერება.

ოთარ ფუტკარაძის „შორეული ახლობლები“ დიდი სიყვარულითა და სითბოთი აკინძული ნარკვევების კრებულია. საზღვარი მათ შორის მხოლოდ თემატური ნაირგვაროვნებით თუ მოინიშნება. სინამდვილეში კი ერთ ცოცხალ ყალიბად ჩამოსხმულ ტექსტად აღიქმება, ჭოროხივით რომ მოიჩქარის მკითხველისკენ, ერთი სული რომ აქვს, რაც შეიძლება მალე გაახმიანოს ტალღებში მოქცეული ჩამონატანი შორეულობისა, ათასგვარი თვალით რომ გამოიმზირებიან. და ავტორიც წიგნისა ისტორიკოსიც რომაა, ჟურნალისტიც რომაა, მწერალიც რომაა, ქართულობის უნარითაც წაჯიკებულ-ანთებული რომაა, იმ თვალების ყველა გამომზერილობას ადვილად იხელთებს, ადვილად იჭერს, აგროვებს და ვეებერთელა მზე გამოსდის შეგროვებული, სავსე რომაა ოშკით, ხახულით, ხანძთით, შატბერდით, ტბეთით, იშხანით, პარხალით, ოპიზათი, ბანათი, მისხალ-მისხალ ნაგროვები ქართული სუნთქვით, საოცარი ბუნებამეტყველებითა და ფერთა შეუფასებელი სიუცხოვით. იმითაც, დღესდღეობით მშობლიური სისხლი ამომშრალი რომ არაა, ერთი ქართული წინადადების გაგონება ისტორიის გაცოცხლებას რომ ნიშნავს და სანათესაოში მიმოსვლის სურვილსაც რომ გიღვივებს, ხოლო სიმდერებად ამონათებული ქართულ ცრემლს ვერ შეგაკავებინებს, ფრთაშესხმული ხდები და მართლაც ჭოროხად იქცევი.

ერთხელ ჩავიდა ბატონი ოთარი თავისიანებთან, ჩვენიანებთან, მეორედ, მესამედ, მეოთხედ, მრავალჯერ, მარტოც იყო, მეგობრებთან ერთადაც, მეცნიერ-მკვლევარებს ახლდა თუ თავად მას ახლდნენ, ყოველთვის ორივე მხრის ნატვრა რომ გაცხადდა, გენი გენს რომ უცდიდა, გული - გულს, სისხლი - სისხლს, ამის დანახვა მინდოდა ამ წიგნით. დავინახე და დამომორჩილა ამ ხედვამ, არაერთხელ მომაბრუნა უკან, უფრო რომ მეგრძნო ხანძთასთან თუ ხახულთან, სხვაგან და სხვაგანაც, იქაურ ნაცნობ-მეგობრებთან, მოგვარეებთან, ნათესავებთან ჭიქა ღვინით მოღუდღუდე გულები, განსაკუთრებით ქართული პოეზიის მშვენება, აქაც, მაგრამ წინაპართა მიწაზე მთლად ლექსად ქცეული ფრიდონ ხალვაში, ცრემლგამოულეველი ფრიდონი. კიდევ და კიდევ მინდოდა გადამეკითხა ინტერვიუები, სცენარები, მეგრძნო შემორჩენილი ქართულის მადლი და ბარაქა.



„შორეული ახლობლები“ მხოლოდ ტაო-კლარჯეთს არ მოიცავს. ყველგანაა თურქეთში ქართველის ნაკვალევი, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეში რომ მოხშირდა, შემდგომაც. შორს წაგვიყვანს დამოწმებანი წიგნიდან, მხოლოდ ერთს ვიტყვი - დიახაც, უნდა მივყვეთ ჩვენი მოღვაწე წინაპრების ნაკვალევს, უნდა მოვიძიოთ ისინი და სათანადოდ დავაფასოთ. ცნობილია, რამდენი რამ გაკეთდა თუნდაც სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში ამ თვალსაზრისით, მაგრამ უფრო მეტი რომაა გასაკეთებელი, ესეც ცხადია, განსაკუთრებით „შორეული ახლობლების“ ბოლო თავების გაცნობისას, უფრო და უფრო რომ გიზიდავს შემხვედრი ამბები სახელოვანი ქართველებისა, სამშობლოზე დაუოკებელი ფიქრით რომ საქმიანობდნენ სამშობლოს გარიდებულნი და უცხო მიწაზე ჩაძვალმიწებულნი, თანამედროვეთაგან მხოლოდ მადლიერების თაიგულს ელოდებიან.

„შორეული ახლობლები“ ყოველთვის დაამშვენებს იმ თაროს, რომელზეც ერთმანეთს გვერდში უდგანან რამაზ სურმანიძის, მამია ფაღავას, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ცისანა ფუტკარაძის, ტარიელ ფუტკარაძის... არაერთ სხვა გამორჩეულ მოღვაწეთა წიგნები, ესოდენ შემართებითა და გულისხმიერებით რომ აფართოებენ იმ გზას, აჰმედ მელაშვილმა რომ დაუდო სათავე და დღეს ჩინებულად აგრძელებს მას მუსტაფა იაქუთი, იგივე გურამ ხიმშიაშვილი, მასავით გულანთებულ ჩვენებურებთან ერთად“.

კენიელების ნაცვლად... ზიმბაბველების წინააღმდეგ

„შავი ლომი“ ქარის თასზე სადებიუტო შეხვედრას დღეს - 2 აპრილს საქართველოს დროით 16 საათზე ზიმბაბვეს „გოსჰოქსთან“ გამართავს.

დებიუტი 26 მარტს კენიის „სიმბასთან“ უნდა შემდგარიყო, თუმცა ისინი სამხრეთ აფრიკაში დროულად ვერ ჩავიდნენ.

მატჩი ქეიფთაუნში - „ვილაჯერიზე“ გაიმართება და ის ქარის თასზე ზიმბაბველთათვისაც სადებიუტო იქნება.

„გოსჰოქსი“ ზიმბაბვეს ნაკრების საბაზო გუნდია, რომელიც ეროვნული, 7-კაცა და ახალგაზრდული ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. ქარის თასს აფრიკელები მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებელ ტურნირად განიხილავენ, რომელიც ივლისში გაიმართება.

„გოსჰოქსი“ სამხრეთ აფრიკაში 21 მარტიდან ემზადება და გასულ შაბათს „კავალიერსთან“ ამხანაგური, გასახურებელი მატჩი გამართა. ზიმბაბველებმა მეტოქეს 6 ლელო გაუტანეს, 4 გაუშვეს და გამარჯვება მოიპოვეს, „შავ ლომთან“ კი მძიმე და ძალისმიერი თამაშის მოლოდინში არიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა პირველი - ისტორიული მატჩი 1989 წელს სწორედ ზიმბაბვესთან გამართა (ქუთაისში) და მეტოქე 16:3 დაამარცხა.

„შავი ლომი“ სამხრეთ აფრიკაში სამ ეტაპად ჩავიდა: 18 მარტს იქ გუნდი 23-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა, 23-ში მათ 8 „ბორჯღალოსანი“ შეუერთდა, 29 მარტს კი გუნდს რუსთავის „ხარების“ კვაჭი ლევან ჭავჭავაძე დაემატა.

პირველ ორ შეხვედრაში გუნდს ლადო კილასონია უხელმძღვანელებს და სადებიუტო მატჩისთვის მან 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. პირველ ხაზში თამაშს იწყებენ კვაჭი თენგიზ ზამთარაძე და ბურჯები - გოგა ქადარია და ნიკა პატარაია. მარქაფაში არიან ლევან ჭავჭავაძე, მიხეილ ორაგველიძე და გიორგი პერტაია.

მეორე ხაზში თამაშს იწყებენ ლაშა ჯაიანი და მიხეილ ბაბუნაშვილი, შეცვლაზე კი ნოდარ ჭეიშვილს ვიხილავთ. მესამე ხაზში არიან გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური და ლუკა ივანიშვილი, რომელთაგან ერთერთს სანდრო მამამთავრიშვილი შეცვლის.

9-10 ნომერზე ძირითადში არიან გიორგი ბეგაძე და გიორგი ბაბუნაშვილი, ცენტრში გურამ ქანდაურაშვილის და დემურ თაფლაძის წყვილს ვიხილავთ, ფრთებზე თამაშს თემურ ჭიჭინაძე და სანდრო სვანიძე იწყებენ, ხოლო ფულბეკი მირიან მოდებაძეა. ხაზში შეცვლაზე ვიხილავთ თენგიზ პერანიძეს, ლუკა მატკავასა და შალვა აფციაურს.

შემადგენლობაში 10 „ბორჯღალოსანია“ და მათგან ექვსს 10-ზე მეტი კეპი აქვს მოხვეჭილი (მოდებაძე, თაფლაძე, ბეგაძე, ჯაიანი, თხილაიშვილი და ჭეიშვილი).

განაცხადში ოთხი ისეთი მოთამაშეა, რომელთაც აქამდე „შავი ლომის“ შემადგენლობაში არ უთამაშიათ - თხილაიშვილი, ჭიჭინაძე, ჭავჭავაძე და აფციაური.

ამირან გურიელიძე

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი რუსული არმიის საბრძოლო დანაკარგის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. მონაცემები გულისხმობს 24 თებერვლიდან პირველ აპრილამდე პერიოდს (ომის დაწყებიდან დღემდე):

რუსი სამხედრო - დაახლოებით 17 700;
ტანკი - 625;
ჯავშანტექნიკა - 1 751;
საარტილერიო სისტემები - 316;
MLRS - 96;
საჰაერო თავდაცვის საშუალებები - 54;
თვითმფრინავი - 143;
ვერტმფრენები - 131;
სატრანსპორტო აღჭურვილობა - 1 220;
გემები/ნავები - 7;
საწვავის ავზი - 76;
ოპერატიული და ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი - 85;
სპეციალური აღჭურვილობა - 24.

* * *

რუსი ოკუპანტები ჩერნიგოვის რეგიონს ნელ-ნელა ტოვებენ. ამას ჩერნიგოვის რეგიონალური ადმინისტრაციის უფროსი ვიაჩესლავ ჩაუსი თავის ვიდეომიმართვაში აცხადებს.

„დღეს კიდევ ერთი დღეა. ბევრი სამუშაოა. მტერი ჩვენი შეიარაღებული ძალების წყალობით ნელ-ნელა ტოვებს ჩერნიგოვის რეგიონს. იმედი მაქვს, ისინი სამუდამოდ წავლენ ჩვენი ქვეყნიდან“, - აცხადებს ჩაუსი. მან ჩერნიგოვის რეგიონის მცხოვრებლებს მიმართა და განაცხადა, რომ მტრის საჰაერო და სარაკეტო დარტყმის საფრთხე რჩება.

„დიდი თხოვნა მაქვს, განგაშის სიგნალის არსებობის შემთხვევაში დარჩით თავშესაფრებში, ჯერ ნაადრევია დასვენება, კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, ჯერაც გვაქვს ომი, მტერი ჩვენს მიწაზეა“, - აცხადებს ჩაუსი.

* * *

ავსტრალია უკრაინაში Bushmaster ჯავშანტრანსპორტიორებს გაგზავნის.

„ჩვენ არ ვაგზავნით მხოლოდ ჩვენს ლოცვებს, ჩვენ ვაგზავნით იარაღს, ჩვენ ვაგზავნით საბრძოლო მასალას, ვაგზავნით ჩვენს ჰუმანიტარულ დახმარებას, ვაგზავნით ამ ყველაფერს, ჩვენს ჯავშანს და ასევე გავგზავნით ჯავშანტექნიკას, ჩვენს Bushmaster-ებს“, - განაცხადა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა სკოტ მორისონმა.

* * *

Reuters-ი იუწყება, რომ რუსული სამხედრო შეჭრის დაწყებიდან რუსებმა აღმოსავლეთ უკრაინაში, სულ მცირე, ექვსი მარანი გაანადგურეს.

რუსეთის მიერ მათთვის მიყენებული ზიანი იმის მთავარი მაგალითია, თუ როგორ აისახება ომი უშუალოდ უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაზე და საფრთხეს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებას მთელ მსოფლიოში.

* * *

უკრაინის წინააღმდეგ ომში წასვლამდე სამხედრო წვრთნების გასავლელად სირიელ დაქირავებულთა პირველი კონტინგენტი რუსეთში ჩავიდა. The New York Times-ის ცნობით, ჯგუფში, სულ მცირე, 300 ჯარისკაცია. რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ომში სირიიდან 16 000 დაქირავებული ჯარისკაცის ჩართვას აპირებს. უპირატესობა ენიჭებათ საბრძოლო გამოცდილების მქონე მამაკაცებს.

ბოლო წლების განმავლობაში სირია გახდა დაქირავებულთა ექსპორტიორი. მრავალწლიანმა ომმა ბევრ მამაკაცს მისცა საბრძოლო გამოცდილება, მაგრამ იმდენად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკა, რომ ადამიანებს უჭირთ სამუშაოს პოვნა. ამიტომ მათ, როგორც დაქირავებულ იარაღს, იყენებდნენ ლიბიის, აზერბაიჯანის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის და ახლა უკვე უკრაინის ომებში.

* * *

უკრაინელმა მედესანტემ ორი სრულიად ახალი რუსული სუ-34 ჩამოაგდო. მან თვითმფრინავებისთვის დარტყმის მიყენება 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე მოახერხა, რის შემდეგაც თვითმფრინავები ჰაერში აფეთქდა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მაროკოდან ელჩის გაწვევის შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა. 30 მარტს - დღის ბოლოს გავრცელებულ ვიდეომიმართვაში მან აღნიშნა, რომ საქართველოში უკრაინის ელჩიც სამშობლოშია დაბრუნებული.

„არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველასთან ერთად მუშაობენ სახელმწიფოს დასაცავად, იმისთვის, რომ უკრაინამ მოიპოვოს თავისი მომავალი. ჩვენ ვაფასებთ თითოეული ასეთი ადამიანის შრომას... და არიან ისეთებიც, რომლებიც დროს კარგავენ და მხოლოდ თანამდებობაზე დარჩენისთვის მუშაობენ. დღეს ხელი მოვაწერე პირველ განკარგულებას ასეთი ადამიანის გაწვევის შესახებ - მაროკოდან ასეთი ელჩის გაწვევის შესახებ. ასევე დაბრუნებულია ელჩი საქართველოდანაც.

მთელი პატივისცემით - თუ არ იქნება იარაღი, არ იქნება სანქციები, არ იქნება დაბრკოლებები რუსული ბიზნესისთვის - გთხოვთ, მოძებნოთ სხვა სამუშაო“, - განაცხადა ზელენსკიმ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ